# საქართველოს რესპუბლიკა



ⴈⴋⴈⴑⴇⴀⴌⴀ ⴜⴋⴈⴌⴃⴀ ⴑⴀⴕⴋⴄⴘⴈ, ⴐⴍⴂⴍⴐⴈⴚ ⴁⴄⴝⴃⴍⴓⴐⴈ ⴑⴈⴒⴗⴅⴀⴀ, ⴒⴗⴍⴓⴈⴊⴄⴁⴈⴇ ⴃⴀ ⴝⴍⴐⴄⴁⴈⴇ ⴁⴍⴓⴐⴇⴈⴑ ⴂⴀⴒⴀⴌⴀ ⴗⴅⴄⴊⴀ ⴍⴓⴉⴀⴃⴐⴈⴑⴍⴁⴀⴆⴄ ⴍⴓⴑⴀⴛⴀⴂⴊⴄⴑⴈⴀ.


დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 16 მარტი, 2011 წელი.

№48 (6660)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


ის, რაც ყველაზე აქტუალურია

ვაჟა ბერიძე:

## სინგაპურზე ოცნება ჰორიზონტს ჰგავს, ის მუდამ მიუწვდომელია!

3-4



რა ხდება?

## და ათოვს ასე „ყაზახურ“ ლიკანს...

7



სიმართლე კი ასეთია!

## ნუ გეშინია, მიშა, ქართველებმა დომინოს თამაში არ ვიცით!



ვინ დაიძახებს „რიბას“, „ჩაგვიკეტავს“ და წაგვაგებინებს მოგებულ თამაშს?

4

განსჯა



## გლობალიზაცია და პრიმიტიული ანტი-გლობალიზმის საფრთხე

5

ცხელ გულზე

## „კოკავ, შენ გეუბნებოდე“...

7

## საქართველოს ოპოზიცია „რევოლუციისთვის“ ემზადება, მაგრამ არის კი სწორად შერჩეული მომენტი?

8

ავღანეთი და პარლამენტი

## რა ღირს ჯარისკაცის სიცოცხლე?

6



აქცია-პროტესტი

## პოლიტიკურ პატიმართა სიცოცხლე საფრთხეშია!

2

№ 48. ოთხშაბათი, 16 მარტი, 2011 წელი.

ზარი ჩამოირეკა

# „მოდერნიზებული ბოლშევიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო

15 მარტს ვერაზე, კალათბურთის სასახლეში „სახალხო კრების“ თბილისის ორგანიზაციის შეკრება გაიმართა.

შეკრებას 4000-ზე მეტი აქტივისტი ესწრებოდა. წარმოდგენილი იყვნენ „სახალხო კრების“ მიერ, თბილისში ჩამოყალიბებული თორმეტი დაუმორჩილებლობის კომიტეტის წევრები და „შეფიცულები“.

როგორც „სახალხო კრების“ ხელმძღვანელებმა განაცხადეს, „მოდერნიზებულ ბოლშევიზმთან“ ბრძოლა უკვე დაწყებულია. დაუმორჩილებლობის კომიტეტები და „შეფიცულები“ უკვე 24-საათიანი მუშაობის რეჟიმში გადავიდნენ.

ბრძოლის საწყისი ბაზა უკვე არსებობს. აქტიური მოქმედებები არსებული რეჟიმის დასამთავრებლად, ბრწყინვალე შვიდეულის დასრულების შემდეგ დაიწყება.

ეს არის ის ინფორმაცია, რომლითაც შემეძლო ჩემი „ჟურნალისტური მოვალეობა“ შემესრულებინა, მაგრამ დარბაზში მყოფს ორი კითხვა გამიჩნდა.




1. რა იყო ამ შეკრების მთავარი მიზანი და რისი დემონსტრირება მოხდა დღეს?

2. ბუნებრივია, რომ სახელისუფლებო არხები, უხეშად რომ ვთქვათ, ამ შეკრებას „დაბლოკავენ“, როგორ აპირებთ მოსახლეობამდე ინფორმაციის მიტანას?



პირველ კითხვაზე პასუხი „სახალხო კრების“ წევრმა ლერი გელენავამ გამცა.

— ამ შეკრების მთავარი მიზანი პირველ რიგში იყო იმ ძალის დემონსტრირება, რომელიც გაგვაჩნია. შეიძლება ჩემი სიტყვები ძალიან პათეტიკურად ჟღერს, მაგრამ ნათლად ჩანს, რომ ჩვენ უკვე მზად ვართ, რეალურ შედეგს კი მალე დაგანახებთ.

მეორე კითხვაზე პასუხი „შეფიცულების“ ხელმძღვანელმა გია ბურჯანაძემ გამცა.

— ეს ხალხი, აქ შეკრებილი ადამიანები არიან მოსახლეობასთან ჩვენი ინფორმაციის მიმტანები და დარწმუნებული იყავით, რომ ისინი ამ საქმეს საუკეთესოდ შეასრულებენ.

**გია გაბრიჭიძე**

აქცია-პროტესტი

# პოლიტიკურ პატიმართა სიცოცხლე საფრთხეშია!

**როგორც გუშინ ვიუწყებოდით, ორი წელიწადი შესრულდა სამართლის დოქტორის, აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას უკანონო, შეთითხნილი ბრალდებების საფუძველზე დაპატიმრებიდან.**



საერთაშორისო და საქართველოს უფლებადამცველი ორგანიზაციების მიერ ვლადიმერ ვახანია აღიარებულია პოლიტიკურ პატიმრად.

15 მარტს საქართველოს მთავარ პროკურატურასთან ვლადიმერ ვახანიას დიდი რუდუნებით შექმნილი პოლიტიკური პარტიის — „მთლიანი საქართველოს“ და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გამართეს საგანგებო საპროტესტო აქცია-ბრიფინგი დევიზით — „თავისუფლება პარტიის ლიდერს, პოლიტპატიმარ ვლადიმერ ვახანიას!“, „თავისუფლება საქართველოს პოლიტპატიმრებს!“

„მთლიანი საქართველოს“ წარმომადგენლებმა, მსჯავრდებულის ადვოკატებმა, ადამიანის უფლებათა ცნობილმა დამცველებმა დიმიტრი ოზოლაძემ, ჯემალ შელიამ, კახა ლომიამ, ლაშა ჩხარტიშვილმა, ალექსანდრე შალამბერიძემ, ვლადიმერ ვახანიას დამ, პროფესიონალმა ექიმმა ნანული ვახანიამ საპროტესტო აქციაზე შეკრებილთ, ტელევიზიისა და პრესის ჟურნალისტებს მოუთხრეს პოლიტიკური მრწამსის გამო დაპატიმრებული ვლადიმერ ვახანიას დევნისა და ზეწოლის კონკრეტულ ფაქტებზე, მათი აღიარებით ვლადიმერ ვახანია ყველა სასამართლო პროცესზე (გარდა ერთისა), ფსიქოტროპული მედიკამენტების ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მას დაკარგული ჰქონდა დამოუკიდებლად გადაადგილების უნარი.

— საერთოდ, ჩემი ძმის ჯანმრთელობის მდგომარეობა ერთობ დამძიმებულია, მას აწუხებს გულის მწვავე, იშემიური დაავადება, გადიდებული აქვს ღვიძლი, მძიმე სტრესული მდგომარეობის გამო აწუხებს ქრონიკული უძილობა... ასე რომ, აუცილებლად საჭიროებს სერიოზულ სამედიცინო დახმარებას... ვთხოვ ყველას — ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც, საპყრობილის ადმინისტრაციასაც და ადამიანთა უფლებების დამცველებსაც, გაუფრთხილდნენ პოლიტპატიმრების სიცოცხლეს, ჩემი ძმა კი, როგორც აბსოლუტურად უდანაშაულო — გაათავისუფლონ პატიმრობიდან!




პარტია „მთლიანი საქართველო“ ამ საპროტესტო აქციით კიდევ ერთხელ მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას საქართველოს ხელისუფლებაზე განახორციელოს ყოველმხრივ კანონიერი ზეწოლა ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განხორციელების, სამართლიანობის აღდგენის მიზნით.

**აქციის მონაწილეებს დაურიგეს საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის სარეკლამო ფურცლები, რომლებშიც ხაზგასმით მითითებულია, რომ 18 მარტს თბილისის კინოს სახლთან, საღამოს 18 საათზე გაიმართება გრანდიოზული აქცია — „მეც პატიმარი ვარ!“, „გადავარჩინოთ პატიმრების სიცოცხლე!“**

**18 მარტს კიდევ ერთხელ გაპროტესტდება პატიმართა წამების ფაქტები და დაისახება თითოეული პოლიტპატიმრის სიცოცხლის გადარჩენის გზები.**

**სოსო კეთილაძე**

სკანდალი

# ოფიციალურმა იერუსალიმმა ბაქრაძის ვიზიტის გადადების მიზეზად ებრაელი ბიზნესმენის დაკავება დაასახელა

**ისრაელის ქნესეთის (პარლამენტის) სპიკერ რეუვინ რივლინის კანცელარიამ ოფიციალურად დაადასტურა პრესაში ცოტა ხნის წინათ გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, საქართველოს პარლამენტის სპიკერ დავით ბაქრაძის ისრაელში დაგეგმილი ვიზიტის დროებით გადადება ებრაელ ბიზნესმენ „ფუქსის საქმეს“ და ამ საკითხთან დაკავშირებით თბილისსა და იერუსალიმს შორის არსებულ აზრთა სხვადასხვაობას უკავშირდება.**

რივლინის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, ბათუმში დაკავებული ებრაელი ბიზნესმენის რონი ფუქსის ახლობლები დარწმუნებულები არიან, რომ ბიზნესმენი უდანაშაულოა და მისთვის წაყენებული ბრალდება უკანონოა.



„რონი ფუქსი საქართველოს ხელისუფლებამ გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო. ამ კვირაში იერუსალიმში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის ვიზიტი იგეგმებოდა, მომავალ ოთხშაბათს იგი ქნესეთსაც უნდა სწვეოდა. ქნესეთის სპიკერი რივლინი ბაქრაძეს ტელეფონით დაუკავშირდა და ვიზიტის დროებით გადადება სთხოვა. რივლინმა ქართველ კოლეგას განუმარტა, რომ ისრაელში შიდა და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის გამო მისი ვიზიტის დროებით გადადება სურთ. ასევე, რივლინმა ბაქრაძეს უთხრა, რომ ისრაელის მოქალაქეების უმეტესობა შეშფოთებულია რონი ფუქსის სასამართლო პროცესის გამო, რომელიც საქართველოში მიმდინარეობს, ხოლო საზოგადოების მხრიდან განხორციელებული ზეწოლა ვიზიტის გადადების თხოვნის ერთ-ერთი მიზეზია“, — აღნიშნულია რივლინის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.



ცნობისთვის: გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე საგარეო უწყების ხელმძღვანელის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა, რომ საქართველოში ებრაელი ბიზნესმენების დაკავება ორი ქვეყნის ურთიერთობას დაღს ვერ დაასვამს. კალანდაძის მოსაზრებით, მომხდარი ორ ქვეყანას შორის არსებულ კარგ ურთიერთობას ვერ დაძაბავს. მისი თქმით, ქართული მხარისთვის ცნობილია, რომ ისრაელი ამ ფაქტს მტკივნეულად განიცდის.

„მომხდარი ერთმნიშვნელოვნად კრიმინალური საკითხია და პოლიტიკური ურთიერთობების ჭრილში არ უნდა განიხილებოდეს“, — აღნიშნა ნინო კალანდაძემ.

შეგახსენებთ, რომ ებრაელი ბიზნესმენები რონი ფუქსი და ზეევ ფრენკელი საქართველოში 2010 წლის 14 ოქტომბერს დააკავეს. მათ ბრალი საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ავთანდილ ხარაიძისათვის ქრთამის შეთავაზებაში ედებათ. ებრაელი ბიზნესმენების ადვოკატ არჩილ კბილაშვილის ვარაუდით, თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესი მარტის თვის ბოლომდე დასრულდება.

SIC!

# სომხეთის ატომური სადგური უკვე გაჩერებული უნდა იყოს

**კავკასიის რეგიონში, სეისმურად აქტიურ ზონაში მდებარე სომხეთის ატომურ ელექტრისადგურს, რომელზედაც მოძველებული რეაქტორებია, გარკვეული პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში საფრთხის შექმნა საქართველოსთვისაც შეუძლია. ამის შესახებ „ჯი-ეიჩ-ენს“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტის დეკანმა გია არაბიძემ განუცხადა.**

„სომხეთის ატომური სადგური უკვე გაჩერებული და დაკეტილი უნდა იყოს. მას მუშაობა 2010 წელს უნდა შეეწყვიტა, რადგან გარკვეული პრობლემები აქვს. ის ვერ უზრუნველყოფს მიწისძვრის შემთხვევაში სერიოზული დაზიანებებისგან დაცვას. გარდა ამისა, ორივე რეაქტორს საექსპლუატაციო პერიოდი დიდი ხანია გაუვიდათ“, — განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს“ არაბიძემ.

მისი განმარტებით, სომხეთში თანამედროვე, სერიოზული დაცვისა და მაღალი სიმძლავრის მიწისძვრების გამძლე ატომური ელექტროსადგური უნდა აშენებულიყო, თუმცა პროცესი სამჯერ გადადეს.

„ღმერთმა დაგვიფაროს და თუკი სომხეთში მიწისძვრა მოხდა, ეს უბედურება იქნება სომეხი ხალხისთვის და თუ ქარმა რადიაქტიული ნივთიერებები საქართველოსკენ წამოიღო (ქარის მიმართულებას დიდი მნიშვნელობა აქვს), ჩვენი ტერიტორია დაბინძურდება, ისე, როგორც ეს ჩერნობილის შემთხვევაში მოხდა. პირდაპირი გამოსხივება შესაძლოა არ შეგვეხოს, თუმცა საქართველოში და მთელ მსოფლიოში რადიაციული ფონი მოიმატებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს, ალბათ, არ იქნება ისეთი ძლიერი ფონი, რომ ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნას“, — განმარტა სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტის დეკანმა.

კავკასიის რეგიონში ერთადერთ ატომურ ელექტროსადგურზე, რომელიც სომხეთში ერევნიდან 20-30 კილომეტრის დაშორებით, ქალაქ მეცამორთან მდებარეობს, ამჟამად მხოლოდ მეორე ენერგობლოკი მუშაობს. 2011 წლის 17 თებერვალს მთავრობამ ბირთვული მასალის შეტანაზე ლიცენზია 5 წლით გაუგრძელა. სადგური, რომელიც 1976 წელსაა აშენებული, ამჟამად 407.5 მგვ ელექტროენერგიას აწარმოებს. გავრცელებული ინფორმაციით,



სადგურს ფუნქციონირება 2016 წლამდე შეუძლია.

ყოველწლიურად ის 90 ბირთვული საწვავის „კასეტას“ გადაამუშავებს, რომელიც სადგურზე რუსეთიდან შეაქვთ.

◉ ის, რაც ყველაზე აქტუალურია



გვესაუბრება პოლიტოლოგი და ეკონომისტი ვაჟა ბერიძე

# სინგაპურზე ოცნება ჰორიზონტს ჰგავს, ის მუდამ მიუწვდომელია!



**— რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ ევროკავშირმა საქართველოსა და ამ ორგანიზაციას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების საკითხზე აქტიურად დაიწყო საუბარი, თუმცა ამ პროცესში მნიშვნელოვან პრობლემას საქართველოს მთავრობისა და ევროკავშირის ხედვებს შორის განსხვავება წარმოადგენს. როგორ ფიქრობთ, რატომ არ ითვალისწინებს ხელისუფლება ევროკავშირის რეკომენდაციებს და გრძელვადიან პერსპექტივაში რა შედეგს მოუტანს ქართულ ეკონომიკას მთავრობის ეს „თამაში"?**

— მთავრობის თამაში და უპრინციპო პრინციპულობა ქართულ ეკონომიკას კარგს ვერაფერს მოუტანს. ამაზე უარესი შეუძლებელია, ჩვენს ეკონომიკას დაემართოს. ექსპორტ-იმპორტის უარყოფითი სავაჭრო სალდო კატასტროფულია და 2010 წლის შედეგების მიხედვით, 3 მლრდ 511 მლნ დოლარს შეადგენს. ამავე წლის ექსპორტის სტრუქტურაში მეორე ადგილი ავტომობილებს უკავია. ფაქტია, ჩვენ „მერსედესების" აწყობა არ დაგვიწყია, ეგ კი არადა, „შკოდებსაც" კი არ ვაწყობთ, უბრალოდ „ნახმარი მანქანები" საქართველოს გავლით სომხეთში, აზერბაიჯანში და ასე შემდეგ გადის. მესამე ადგილზეა ჯართი — ჩვენი ამოუწურავი „სიმდიდრე", თითქოს მთელი საქართველო ჯართად იქცა, პირველზე კი — ფეროშენადნობები, თუმცა იქიდან ხეირი მხოლოდ დასაქმებული ზესტაფონელების ერთ ჯგუფს აქვს, რადგან ფეროშენადნობების გაყიდვიდან ამონაგები საქართველოში ინვესტიციის სახით არ ბრუნდება. ასეთი ეკონომიკით ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება ბევრს ვერაფერს მოგვცემს, მაგრამ ჩვენი ეკონომიკის პერსპექტივის თვალსაზრისით, ეს მნიშვნელოვანია. თუმცა, მიმაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლება ამ ხელშეკრულების გაფორმებას მაქსიმალურად გააჯანჯლებს, რადგან არც მას და არც მასთან შეზრდილ კლანებს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ამოქმედება, ანტიმონოპოლიური რეგულირება და ფარული მონოპოლიების შეზღუდვა ხელს არ აძლევთ. არც შრომის ნორმალური კანონმდებლობაა მათთვის მისაღები, ვინაიდან სინგაპურის იდეალიზაცია ამას გამორიცხავს.

**— ექსპერტთა წრეებში ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლებას ეკონომიკური რეფორმები ულტრალიბერალურ მიდგომებზე აქვს აგებული, რაც სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის მინიმალურ მექანიზმებს ითვალისწინებს. ამ კონტექსტში ხშირად ფიგურირებს საქართველოს „სინგაპურიზაციის" საკითხიც. რაში მდგომარეობს ეკონომიკის განვითარების სინგაპურული მოდელის ხიბლი და რატომ მიილტვის ასე დაჟინებით ჩვენი ხელისუფლება „სინგაპურიზაციისკენ"?**

— მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა არა მარტო სალი აზრისგან არის შორს, არამედ თვით სინგაპურული მოდელისგანაც. ნეოლიბერტარიანელობა, რაც ჩვენი ხელისუფლების იდეოლოგებისა და ეკონომიკური მრჩევლებისთვის იდეალურ სისტემას წარმოადგენს, მთავრობის სამოქმედო გეზი და რეალური პრაქტიკა არასოდეს გამხდარა. მისი პოპულარიზაცია „ნაციონალების" ზედა ეშელონში კახა ბენდუქიძის სახელს უკავშირდება. მის თანამოაზრეთა შორის იყვნენ და არიან ყოფილი პრემიერი ლადო გურგენიძე, „თავისუფლების ინსტიტუტის" და სააკაშვილის ხელისუფლების მთავარი იდეოლოგები ლევან რამიშვილი და გიგა ბოკერია — ჟურნალ „ტაბულას" გარშემო შემოკრებილი ინტელექტუალები. სხვათა შორის, ისინი ბოლო პერიოდში მიხეილ სააკაშვილს ნეოლიბერტარიანული იდეოლოგიის ღალატის გამო აკრიტიკებენ და მისგან უფრო თანმიმდევრული რადიკალური ნაბიჯების გადადგმას მოითხოვენ. ბოლო დროს მათ, ვფიქრობ, შედეგს მიაღწიეს კიდეც და რომ არა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და არაბული სამყაროს აფეთქება, სააკაშვილი კიდევ უფრო რადიკალური იქნებოდა. მიმაჩნია, რომ ქართველი ნეოლიბერტარიანელები თავიანთ სულიერ მოძღვრებს — აინ რენდს და ლუდვიგ ფონ მიზესს ღალატობენ. ასე რომ არ იყოს, რაღაც მაინც გამოვიდოდა და არა უთავბოლო პოლიტიკური აბსტრაქცია. ისინი მზად არიან, საქართველოს სუვერენიტეტი მაქსიმალურად შეზღუდონ, ქვეყანაში დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლას შეეგუონ და ეს პროცესი წაახალისონ, საბოლოო ჯამში კი არაფერი აქვთ საწინააღმდეგო, თუ საქართველო ძლიერი მონოეთნიკური სუპერსახელმწიფოების — აზერბაიჯანის, სომხეთის და თურქეთის რივიერა, ან ქალაქ-სახელმწიფო, გნებავთ, ეთნიკურად ჭრელი არაქართული მეგაპოლისი გახდება. მათთვის სინგაპურული მოდელის ხიბლი მხოლოდ ქვეყნის ზრდის მაღალ ტემპშია. ბატონი კახა ბენდუქიძე და მისი თანამოაზრეები პრეზიდენტ სააკაშვილს არწმუნებენ, რომ მხოლოდ სინგაპურული მოდელი იძლევა საშუალებას, ეკონომიკის სწრაფ ზრდას და შუაევროპული ქვეყნების ცხოვრების დონეზე გასვლას მივაღწიოთ, ხოლო სხვა შემთხვევაში ამას 20-30 წელი დასჭირდება. ამდენი ხანი, ბუნებრივია, მიხეილ სააკაშვილი ვერ მოიცდის და იწყება **პოლიტ-ეკონომიკური ავანტიურა სახელად „სინგაპურიზაცია"**. თუმცა, ის რაც საქართველოში ხდება, არც სინგაპურიზაციაა. თავი დავანებოთ იმას, რომ ჩვენი დემოკრატია სინგაპურის მიზერულ დემოკრატიაზეც კი უარესია, მაგრამ იქ სამი პრინციპი მაინც არის დაცული ურყევად: ეკონომიკური ლიბერალიზმი, კანონის უზენაესობა და საკუთრების ხელშეუხებლობა, უსაფრთხოება. საქართველოში არც ერთი ეს კომპონენტი არ არსებობს. სამაგიეროდ სინგაპურს ვგავართ იმით, რომ იქაური მთავრობა 7 მთავარ სატელევიზიო არხსა და 14 რადიოს აკონტროლებს. სინგაპურს დაარსებიდან ერთი პარტია — სახალხო მოქმედების პარტია მართავს. ვფიქრობ, ეს სასიამოვნო ინფორმაციაა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მესვეურთათვის. სინგაპურში სახელმწიფო ენა ინგლისურია, მკვიდრი მოსახლეობა — მალაელები მთელი მოსახლეობის 13,4%-ს შეადგენენ, იმიგრანტი ჩინელები 74%-ს, ინდოელები — 9%-ს. სინგაპური მსოფლიოში შობადობის მიხედვით ბოლოდან მე-3 ადგილზეა. მოსახლეობის 42% უცხოეთის მოქალაქეა. ასევე უცხოეთის მოქალაქეა დასაქმებულთა 50%. ასეთია სინგაპურული ოცნების საფანელი, რომელიც მე უფრო ჰორიზონტს მაგონებს: მთავარია, მისკენ მიდიოდე, ის კი სულ მიუწვდომელი იქნება და ამასობაში ევროპისკენ რომ უნდა წავსულიყავით, დაგვავიწყდება.

**— 2011 წლის 1 იანვრიდან ქვეყანაში ახალი საგადასახადო კოდექსი ამოქმედდა, რომელიც ჯერ კიდევ ძალაში შესვლამდე „რევოლუციურად" მონათლეს. თქვენი შეფასებით, რაში მდგომარეობს ახალი კოდექსის მთავარი ღირსება და ხომ არ გამოვლინდა კოდექსის ბუნდოვანებასთან დაკავშირებული რაიმე პრობლემა მისი ამოქმედებიდან 2 თვეში?**

— ახალი კოდექსის ამოქმედება დადებით მოვლენად უნდა შეფასდეს, თუმცა მას „რევოლუციურს" ვერ ვუწოდებდი. ერთი შეხედვით, მარტივი პროცედურების მიღმა დრაკონული მიდგომები მოჩანს. ისევ პრობლემაა ცალკეული პუნქტების არაერთგვაროვან ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით. ამის მაგალითი ბევრია. გამოვყოფდი კოდექსისთვის დამახასიათებელ ერთ თავისებურებას: გადასახადის გადამხდელი ყოველთვის „ვალდებულია", ხოლო სახელმწიფოს წარმომადგენელს ყოველთვის „უფლება აქვს". აქ საქმე გვაქვს უფლებრივ უთანასწორობასთან. კონკრეტიკით თავს არ შეგაწყენთ. აქვე დავამატებდი, რომ ინდმეწარმისთვის, რომელიც 5%-იანი განაკვეთით იბეგრება, უმჯობესია, არ დარეგისტრირდეს მცირე მეწარმედ, რომელიც გადასახადს უკვე მთლიანი ბრუნვიდან იხდის. რაც შეეხება მიკრო-ბიზნესის კატეგორიას, რასაც ნომინალურად 30 000-ლარიანი შემოსავალი განსაზღვრავს, რეალურად ამ კატეგორიაში მოხვედრა რთულია, რადგან საქმიანობის 11 სახეობის წარმომადგენლებს — მოვაჭრეებს (გარდა საკუთარი ნაწარმის გამყიდველებისა), რეპეტიტორებს, დალაქებს და ა.შ. ეს არ შეუძლიათ. ეს ძალიან საინტერესო თემაა. მარტო ის რად ღირს, რომ მცირე ბიზნესის განმსაზღვრელი კრიტერიუმი 250 000-იანი ბრუნვა შემცირებულ იქნა 100 000-მდე, რითაც, ბუნებრივია, შემცირდა იმ მცირე მეწარმეთა რაოდენობაც, რომლებზეც თითქოსდა დაბეგვრის შეღავათიანი სისტემა უნდა გავრცელებულიყო. ამ დროს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ზღვრული მინიმუმი 2 მლნ-ს არ აღემატება.

**— „ახალი კურსის" ფარგლებში მთავრობამ პრიორიტეტად ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება გამოაცხადა და ამასთან, ბიზნეს-ომბუდსმენის ინსტიტუტიც შემოიღო. თქვენი აზრით, რამდენად ქმედითი იქნება აღნიშნული ინსტიტუტი და რეალურად შეძლებს თუ არა ბიზნეს-ომბუდსმენი გიორგი პერტაია ბიზნესმენთა ინტერესების დაცვას?**

— ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის პარტნიორული ურთიერთობები ნონსენსია. როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლება ბიზნესს მკაფიოდ უნდა გაემიჯნონ. ისინი არ უნდა იყვნენ ერთმანეთთან უკანონოდ შეზრდილი, როგორც ეს საქართველოშია და არ უნდა ხორციელდებოდეს ბიზნესების უკანონო ლობირება, რაც ჩვენს სინამდვილეში ესოდენაა ფეხმოკიდებული. პარლამენტი და მთავრობა ბიზნესის ხელშემწყობ კანონებს უნდა ილებდნენ და ბიზნეს-გარემოს იცავდნენ, განსაკუთრებით - ჩვენში ფეხმოკიდებული ფარული მონოპოლიებისგან. რაც შეეხება ბიზნეს-ომბუდსმენის ინსტიტუტის შემოღებას, ეს წმინდა წყლის პიარ-აქციაა. გიორგი პერტაია გონიერი ახალგაზრდა კაცი ჩანს, მაგრამ იმ ქვეყანაში, სადაც წამდაუწუმ და მასშტაბურად ირღვევა ბიზნესმენებისა და კომპანიების უფლებები, სადაც საკუთრების ხელშეუხებლობა არ არსებობს, მან დღემდე ვერ დაიცვა ვერც ერთი უფლებადარღვეული მეწარმის ან ბიზნეს-სტრუქტურის ინტერესები. დამეთანხმებით, სასაცილო სურათია.

იხ. 4 გვ.

◉ სამეგრელოს მხარე

## „სახალხო კრებამ" ზუგდიდში საკუთარი კომიტეტი დააფუძნა

**„სახალხო წარმომადგენლობითი კრების" ლიდერებმა თბილისში დადებული „დიდი ფიცის" შემდეგ პირველი გასვლა სამეგრელოში განახორციელეს და ზუგდიდში თავიანთი ბოლო 37-ე კომიტეტი დააფუძნეს, რომლის თავმჯდომარედაც ზამირა ღადუა — ზუგდიდის მეორე საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი და „დემოკრატიული მოძრაობის" —ზუგდიდის ორგანიზაციის ხელმძღვანელი დაამტკიცეს.**

ნონა გაფრინდაშვილმა, ნინო ბურჯანაძემ, ელიზბარ ჯაველიძემ, თემურ შაშიაშვილმა, ირაკლი ბათიაშვილმა, გურამ ფირცხალავამ „სახალხო წარმომადგენლობითი კრების" ზუგდიდის ოფისში შეკრებილ 100-ზე მეტი დამსწრეს განუმარტეს, რომ მათი მიზანია შიშის სინდრომისგან მოსახლეობის გამოყვანა, ხელისუფლების ზეწოლისგან დაცვა და დაწყებული ბრძოლის გამარჯვებით დასრულება.

**ნინო ბურჯანაძე: ნუ შეგეშინდებათ, ყველგან შეიქმნა ჩვენი კომიტეტები. თუ შეილახება თქვენი უფლებები, ჩვენ ყველანი აქვე გავჩნდებით. თუ ხელისუფლება გაბედავს და ხელს აღმართავს ხალხზე, იგივე დაემართება, რაც დაემართა მუბარაქს.**

**თემურ შაშიაშვილი: ჩვენი მიზანია არა მხოლოდ სააკაშვილთან ბრძოლა, არამედ იმათთანაც, ვინც შექმნა სააკაშვილი და ვისაც ეყრდნობა ის. ყველა დროში, ყველა კრებამ საქართველოში დადებითი როლი შეასრულა და ეს კრებაც აუცილებლად შეასრულებს თავის მისიას. კრება ეს არის ვაჟკაცების მოძრაობა.**

**ელიზბარ ჯაველიძე: ისტორიაში არსად არასდროს არ წამიკითხავს, რომ თავისი ერი ისე გაეჩანაგებინოს ვინმეს, როგორც ამ ხელისუფლებამ. ესენი დედის საშოდან არ არიან ნაშობნი, ესენი სატანის შვილები არიან, ამიტომაც საჩქაროდ უნდა გავყაროთ ისინი. მე ამ ხელისუფლების დაუძინებელი მტერი ვარ.**

**ირაკლი ბათიაშვილმა** კი დამსწრეთ ამცნო, რომ 194 ქვეყნიდან შობადობის მიხედვით საქართველო 192 ადგილზეა და ქართველები მომაკვდავი ერი ვართო.

ნინო ბურჯანაძემ ბოლოს დასძინა, რომ ხელისუფლება ყველაფერს ჰყიდის, მათ შორის შავ მიწასაც. **ჩვენს ხელისუფლებას ცვლილება აქვს კანონში შეტანილი, რის მიხედვითაც ნებადართულია შავმიწა ნიადაგის მოჭრა და გაყიდვა, რითაც დაინტერესებულნი არიან ისრაელის და არაბეთის ქვეყნები,** — აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

## გადავარჩინოთ ქართული ჩაი!

**ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტში ამ დღეებში გაიმართა სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ სამეგრელოს რეგიონის ყველა სფეროს წარმომადგენლები, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ცნობილი სპეციალისტები, გამომსვლელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო სოფლის მეურნეობის ექსპერტის ვაჟა ფიფიას მოხსენება, რომელიც ეხებოდა ჩაის კულტურის ბიზნესს.**

„საქინფორმთან" საუბარში ბატონმა ვაჟამ განმარტა ჩაის კულტურის ძლიერი და სუსტი მხარეები. **„ზუგდიდის რაიონში ჩაი გაშენებული იყო 5200 ჰექტარზე, ახლა კი მხოლოდ 1200 ჰა-ზეა დარჩენილი. დანარჩენი ფართობები მოუვლელობით გაველურდა და განადგურდა. რატომ უნდა აღვადგინოთ ჩაის კულტურა და რა უპირატესობები გააჩნია მის ბიზნესს. მთავარია ჩაის ბიზნესისგან მოსალოდნელი შემოსავალი და ადამიანთა დასაქმება. ჩაი ჩვენში უალტერნატივო კულტურაა, თანაც ჩვენთან ჩაისთვის ტიპიური ნიადაგებია, ნიადაგის მაღალი მჟავიანობის, ტენიანობისა და რელიეფის გამო. ჩაის კულტურას თავისი სუსტი მხარეებიც აქვს. ჩაის პლანტაციები შენდებოდა ყველგან, მათ შორის კოლხეთის ზონაში, სადაც ნიადაგობრივი პირობები ჩაისთვის არ იყო ხელსაყრელი, ნაკლები ყურადღება ექცეოდა ჩაის პროდუქციის ხარისხს"** — აღნიშნა ვაჟა ფიფიამ.

ექსპერტის განმარტებით, სანამ არ გადაშენებულა ჩაის კულტურა, საქართველოს მთავრობამ ვენახთან ერთად ჩაის მიმართაც უნდა გამოხატოს სახელმწიფო პოზიცია და იგი მეჩაიეობის რაიონებისათვის პრიორიტეტულ დარგად აღიაროს. **„როდესაც პრეზიდენტმა სოფლის მეურნეობის აღორძინებაზე ილაპარაკა, სამწუხაროდ იქ ჩაის ხსენებაც არ იყო. კარგია საზღვარგარეთ ნასწავლი აგრონომები, მაგრამ აუცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს ჯერ კიდევ შემორჩენილ ქართულ კადრებსაც"** — განაცხადა ვაჟა ფიფიამ.

**ლადო ქირია,**
ზუგდიდი

№ 48. ოთხშაბათი, 16 მარტი, 2011 წელი.

## ის, რაც ყველაზე აქტუალურია

# სინგაპურზე ოცნება ჰორიზონტს ჰგავს, ის მუდამ მიუწვდომელია!

(მესამე გვერდიდან)

თუ ბატონი პერტაია ასეთ ბიზნესმენებს ვერ პოულობს, რამდენიმეს თქვენი საინფორმაციო სააგენტოს მეშვეობით შევახსენებ. დაინტერესდეს გელა ბარკალაიას, დავით გონგლაძისა და სამარშრუტო ტაქსების მეპატრონეების, ბესო ხარძიანის, ანზორ ქოქოლაძის, ვანო ჩხარტიშვილის, ბადრი ნანიტაშვილის, გილაურის მოწვევით ჩამოსული ებრაელი ბიზნესმენების, თურქი მშენებლების ისტორიებით. აღარაფერს ვამბობ პასაჟის" „გაპარსულ" და გასაცოდავებულ ინდმეწარმეებზე. მოიკითხოს იმ აჭარლების ამბავი, ვისაც პრეზიდენტმა გონიოში მიწები აჩუქა, შესაბამისმა ორგანომ დაუკანონა და ახლა წაართვეს, რათა რომელიღაც არაბ შეიხს აჩუქონ. რის ომბუდსმენი, რა ომბუდსმენი?! პრემიერ ნიკა გილაურის ყოფილმა თანაშემწემ საქმიანი ადამიანების ინტერესი უნდა დაიცვას იმ ქვეყანაში, სადაც ბიზნესს ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების გარდა, ვერავინ აკეთებს?!

**— იანვრის თვის მონაცემებით, ქვეყანაში ინფლაციამ 12%-ს გადააჭარბა. ფაქტია, რომ საქართველო ამ მხრივ რეგიონში გამონაკლისი არაა, მაგრამ რამდენად სწორ პოლიტიკას ახორციელებს მთავრობა ამ პროცესის შესაჩერებლად?**

— რეალურად ინფლაცია 18-20%-ის ფარგლებშია და, ფაქტობრივად, მთავრობის კონტროლქვეშ მყოფი „საქსტატი" მონაცემებს ამახინჯებს. რა პოლიტიკა უნდა განახორციელოს მთავრობამ ამ პროცესის შესაჩერებლად? პრეზიდენტმა ბრძანა, რომ „ასეთი ინფლაციის საწინააღმდეგოდ მთავრობას არაფრის გაკეთება არ შეუძლია", ქართველი ექსპერტების მძაფრი რეაქციის შემდეგ კი მთავრობას დაავალა, ანტიინფლაციური ღონისძიებები განეხორციელებინა. თუმცა ვფიქრობ, 20-ლარიანი ენერგოვაუჩერი, 30-ლარიანი კვების ვაუჩერი, სხვა ამგვარი ერთჯერადი აქციები და პენსიის „პაკეტური დაანგარიშება" შედეგს არ მოიტანს და მოსახლეობას მდგომარეობას ვერ შეუმსუბუქებს. უკვე დღეს 100 ლარით იმაზე ნაკლები პროდუქტებისა და მომსახურების ყიდვა შეიძლება, რაც 80 ლარით — 2010 წლის მარტში. მით უმეტეს, ფაქტობრივმა პრემიერმა კახა ბენდუქიძემ ახლახანს ტელე-ეთერით განაცხადა, რომ „ინფლაციის შესაჩერებლად ჩვენ ვერაფერს მოვიმოქმედებთო, სამომავლოდ კი ეკონომიკა ისე უნდა განვავითაროთ, რომ ფასების მატებამ ჩვენზე მტკივნეულად არ იმოქმედოს". თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს ეკონომიკის „განვითარებას" 20 წელი მაინც დასჭირდება, უნდა ვივარაუდოთ, ბატონი ბენდუქიძე იმ დროს გულისხმობს, როცა საქართველოში აღარც ვირი იქნება და აღარც ვირის პატრონი.

**— საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მთავრობას ანტიინფლაციური პროგრამის შექმნა ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში დაავალა, თუმცა პროგრამა დღემდე არ არსებობს. როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ დაწერა ქვეყნის ეკონომიკურმა გუნდმა პროგრამა?**

— სად არის გუნდი, ქალბატონი ვერონიკა ქობალიაა ეკონომიკური გუნდის ლიდერი?! ამ მართლაც მშვენიერმა ქალბატონმა იქნებ, ეკონომიკის ერთი სახელმძღვანელო მაინც წაიკითხოს და ერთხელ მაინც შეხვდეს ქართული ეკონომიკური მედიის წარმომადგენლებს. რა თქმა უნდა, სამთავრობო მედიის ჟურნალისტებს არ ვგულისხმობ. ბოლოს და ბოლოს, პროგრამას ვიღაცას დააწერინებენ, მაგრამ ამ მთავრობას არ აქვს და არც სჭირდება პროგრამა, მას არც ეკონომიკური პოლიტიკა აქვს. ბუნებრივია, როცა ასეთი მიდგომაა, არც პროგრამა არის საჭირო. ასეთია ცუდი კონსპექტი სადღაც, ცხრა მთას იქით, სინგაპურში განხორციელებული რეფორმების, რომლის კალკირებასაც უსუსური მინისტრები უნიათოდ ცდილობენ.

**— საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქვეყნის აგრარული სექტორის კრიზისიდან გამოყვანის მიზნით სპეციალური შტაბის შექმნის ინიციატივით გამოვიდა. შტაბმა 12-18 თვეში აგრარულ სექტორში სიტუაციის გაუმჯობესება და არსებული პოტენციალის სრულად გამოყენება უნდა უზრუნველყოს. თქვენი აზრით, რა არის დღეს საქართველოს აგრარული სექტორის მთავარი პრობლემა და უპირველეს ყოვლისა, რა უნდა გააკეთოს აღნიშნულმა შტაბმა?**

— 12-18 თვეში აგრარულ სექტორში სიტუაციის გაუმჯობესება შეუძლებელია. 7-წლიანი ნგრევის და რბევის შემდეგ სოფლის მეურნეობას წელიწადნახევარში ვერ გამოაცოცხლებ. აქ საჭიროა კონცეფცია, ხედვა, რაც არც სოფლის მეურნეობის მინისტრ ბაკურ კვეზერელს აქვს და არც პრემიერ ნიკა გილაურს, ირაკლი ოქრუაშვილი კი საქართველოში არ არის, რომ როგორც ერთხელ, მევენახეობის ფრონტზე გადაგვესროლა. ძალოვანებსაც ბევრი საქმე აქვთ. მაგრამ რადგან დამისვით კითხვა, გიპასუხებთ: დღეს საქართველოს აგრარული სექტორის მთავარი პრობლემა ამ სექტორის არარსებობაა. შტაბმა, პირველ რიგში, ჯერ კიდევ შემორჩენილი ქართველი აგრარიკოსები უნდა შეკრიბოს, სალაყბოდ ამ თავყრილობის გადაქცევა თავიდან აიცილოს და სოფლის მეურნეობის მინისტრის შეცვლის საკითხი დააყენოს. ენამზეობა აქ შედეგს არ მოიტანს და „აგრარული მთავრობა" უნიადაგო ფანტაზიაა. სოფლის მეურნეობის და სურსათის მინისტრს ვიცე-პრემიერის სტატუსი და უფლებამოსილება უნდა მიენიჭოს. მე, მაგალითად, ვიცი, რომ საინტერესო პროექტი და პროგრამა სოფელთან მიმართებაში პარლამენტარ გიორგი გოგუაძეს აქვს. ეგრეთ წოდებული „ქართული გეგმა" ცნობილმა ექსპერტებმა შეიმუშავეს.

**თელარა გელანტია,**
**საინფორმაციო სააგენტო „პირველი"**

## სიმართლე კი ასეთია!

# ნუ გეშინია, მიშა, ქართველებმა დომინოს თამაში არ ვიცით!

## ვინ დაიძახებს „რიბას" და „ჩაგვიკეტავს" და წაგვაგებინებს მოგებულ თამაშს?

**ამ ბოლო დროს, ე.წ. ოპოზიციის ე.წ. ლიდერებმა (დიახაც, ეგრეთ წოდებულებმა! თანაც იმ დონეზე ეგრეთ წოდებულებმა, რომ ასეთ დროს თითქმის სავალდებულო ტრაფარეტული ფრაზის - „იშვიათი გამონაკლისების გარდა", ? გამოყენების სურვილიც აღარა გაქვს კაცს) სულ უფრო და უფრო მოუხშირეს ისეთი ფრაზების „სროლას", როგორებიცაა — „ქართველ ხალხს პოლიტიკური კულტურა აკლია", „სამოქალაქო საზოგადოება სუსტია", „ყველაფერი დღესვე, ამ წუთში გვინდა" და ა.შ.**

ბოლოს კი „კავკასიის" ეთერით გუბაზ სანიკიძემ განაცხადა — ქართველი ხალხი რევოლუციისთვის მზად არ არის (???ძ და ისღა დაგვრჩენია, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე ვიმუშაოთო!

პარტიების იმ სახის ერთობა, როგორსაც საზოგადოება ითხოვს ჩვენგან, გამორიცხულია და საზოგადოებაც თუ ვერ ერთიანდება, რაღაცაზე (საარჩევნო გარემო — **ავტ.**ძ მაინც შევთანხმდეთო. იქვე ისიც დასძინა, რომ ეს იდეა ხალხში არაპოპულარული იმიტომაც არის, ისევე, როგორც ზოგადად არჩევნების თემა, რომ მედიაში იმთავითვე დაიწყო კონკრეტულად საარჩევნო გარემოს თემის **„ბომბარდირება"** (სწორედ ასე ბრძანაძ და ზოგადად — **„არჩევნებით ამათ ვერ გავუშვებთ"** თეზის პროპაგანდა. ანუ **„სუსტ, ნაკლულ და სულსწრაფ"** საზოგადოებასთან ერთად, დამნაშავენი, ჩვენც ვყოფილვართ, ქართველი ჟურნალისტები!



არ მინდა, ეს წერილი ვინმემ პირადად გუბაზ სანიკიძის, მით უმეტეს „ეროვნული ფორუმის" წინააღმდეგ მიმართულად ჩამითვალოს, რადგანაც, თუ ჯერ კიდევ ვინმე მესიმპათიურება პოლიტიკური ძალებიდან, ზოგადად თავსლაფდასხმულ ოპოზიციურ სპექტრში, ერთ-ერთი სწორედ ეს პარტიაა. და იმიტომ, კი არა, რომ მათი პოლიტიკურ-ეკონომიკური ხედვები სხვებისას მირჩევნია, არამედ იმიტომ, რომ ჩემთვის და, იმედია, ქართველების უმრავლესობისთვის ამ ეტაპზე? მართლმადიდებლობა, ეროვნულობა, ტრადიციების ერთგულება, ბოლოს და ბოლოს, ელემენტარული კაცობაა ყველაზე მთავარი პლატფორმაც და პროგრამაც. ამ კუთხით, გუბაზ სანიკიძესა თუ კახა შარტავაში, ნოდარ ჯავახიშვილსა თუ რეზო შავიშვილში ეჭვი არ მეპარება.

ქართული საზოგადოების მიმართ ზემოთ ხსენებული ბრალდებები თუ პრეტენზიები სხვა პოლიტიკური ლიდერებისგანაც არაერთხელ გვსმენია. გუბაზის გამოსვლამ უბრალოდ ამ თემაზე მსჯელობის „სალერღელი ამიშალა" და ქვემოთ მკითხველთან ერთად შევეცდები, გავარკვიო, ვინ სუსტია და ვინ სულსწრაფი, ვის რა აკლია და ვინ ვის რაზე უნდა შეუთანხმდეს, ან უკვე მოურიგდა და ვინ რისთვის არის, ან არ არის მზად. მით უმეტეს, რომ თავად გუბაზმა განაცხადა — არც მე და, არც ფორუმს, ჭეშმარიტებაზე პრეტენზია არ გვაქვს, შეიძლება ვცდებითო. ჰოდა, იქნება მეც ვცდები, მაგრამ ჩემი აზრი მინდა მოგახსენოთ...

„პოლიტკულტურო" ქართული საზოგადოება, რომელიც დღეს რევოლუციისთვის მზად არ არის (???ძ, ბოლო დროს, „მთელი დუნიის დასანახად", რამდენჯერ გააბითურეს? — პირველად იპოდრომზე 300 ათასი ქართველი, მეორედ ოდნავ ნაკლები და მესამედ პირთამდე სავსე სტადიონი!!! რისთვის ვიყავით მაშინ გამოსულები, რევოლუციისთვის თუ მატყლის საპენტად? ვფიქრობ, ზემოთ ფრჩხილებში ჩასმული 3 კითხვის ნიშანი ამ კითხვის პასუხთან ერთად, ხალხის რაოდენობის დაღმავალი დინამიკის ახსნაც არის, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ხალხს ნელ-ნელა გული გაუტყდა და დღეს ამ ოპოზიციის ხსენებაზეც კი, პირსაქმე ემართებათ. კრიტიკულ ზღვარს ამ განწყობამ ე.წ სახალხო კრების დროს მიაღწია.

დიახ, ბატონო ოპოზიციონერებო! სურვილის შემთხვევაში, იმ 20 ათასი კაცითაც შეიძლებოდა რაღაცის დაწყება. „რაღაცის დაწყებაში" რაიმე ძალისმიერ ქმედებებს ვგულისხმობ, რასაც ბუნებრივია, სულ ცოტა, ცემატყეპა მოჰყვებოდა. სახლში დარჩენილ თბილისელებს ეს იმას დაანახვებდა, რომ ამჯერად მაინც აღარ სიაფანდობდა ოპოზიცია და ხალხიც ქუჩაში იხუვლებდა. აბა როგორ გინდათ? ოპოზიციას გაქვთ ხალხის ნდობა ხელახლა მოსაპოვებელი! ასე რომ, სანამ ხალხის, საზოგადოების დამუნათებას დაიწყებთ, მანამდე „პირში წყალი გამოივლეთ", ამხანაგო ოპოზიციონერებო!

ქართველი ხალხი ერთ რამეზეა მტკიცედ შეთანხმებულიც და დარწმუნებულიც — რეჟიმები უსისხლოდ არ მიდიან!!! ამის დასტურია ბიშკეკი, ტუნისი, ეგვიპტე და ცოფიანი კადაფი.

მაგრამ ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ; აწმყოში, ნაციას არ ჰყავს ეროვნული ლიდერი, ზნეობრივი გმირი, ვის სიტყვასაც ერში შეუვალი ავტორიტეტი ექნება. ამიტომაც არის, რომ წარსულის „ლანდებს ველაციცებით". რაც გულის ფხანას ჰგავს, მაგრამ ფხანა ქეცმა იცისო, ოთარაანთ ქვრივმა ბრძანა!!! და რაც ყველაზე მეტად სავალალოა, ახალგაზრდობა ინდიფერენტულია მიმდინარე პროცესების მიმართ. მიშას ბუჩქების, ტაშ-ფანდურას, ტელეპროპაგანდის, ანტიეროვნული განათლების „რეფორმის" შედეგია, რომ ხალხმრავალ საპროტესტო აქციებზე სტუდენტი ახალგაზრდობა სანთლით საძებარია, — დარბაზი იქნება თუ მოედანი, ზემოდან რომ გადახედო, მეტწილად მოტვლეპილ-ჭაღარა თავებს დაინახავ! ახალგაზრდობის „მიძინება" შეძლეს ნაცებმა. ახალგაზრდობისა, რომელიც გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულიდან (1978-ის 14 აპრილიძ ყოველთვის იყო ეროვნული მოძრაობის ავანგარდში...

ამ ყველაფერს ისიც ამძიმებს, რომ ტოტალური უმუშევრობის ფონზე ქვეყანა რეალურად ჰუმანიტარული კატასტროფის, უფრო გასაგებად, შიმშილობის საფრთხის წინაშე დგას. ეს გახდა უმთავრესი მიზეზი არაბულ სამყაროში მასობრივი არეულობებისა. თუმცა არა მგონია, ჩვენი ოპოზიციის იმედები გამართლდეს და დომინოს პრინციპით მოხდეს საქართველოს ტუნის-ეგვიპტიზაცია. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ საქართველოს ისტორია არ იცნობს „კუჭის ბუნტებს". მეორეც, — დომინო ქართული სპორტი არ არის, ხოლო რაც შეეხება ღირსებას, ზოგადად ოპოზიციის და, კონკრეტულად, „გრეჩიხების" უღირსმა ქმედებ-უმოქმედობებმა, დიდი ხნით ჩაკლეს ხალხში ყოველგვარი პროტესტის გამოხატვის სურვილიც და უნარიც.

ან იქნებ ისტორიამ იმიტომ არ იცის საქართველოში მშიერი ბუნტები, რომ ამ ღვთივკურთხეულ მიწაზე შიმშილობა უსასტიკესი შემოსევების დროსაც კი არ ყოფილა? თუ ასეა, ვნახოთ, გამოიყვანს თუ არა ხალხს ქუჩაში „კუჭის ფილოსოფია"!

**თუმცა მე მაინც მგონია, ქართველებმა დომინოს თამაში არ ვიცით! რომც ვისწავლოთ, გამოჩნდება ვინმე გრეჩიხა ან კატლეტა და დომინოს ტერმინი რომ ვიხმაროთ, რიბაო, „ჩაგვიკეტავს" და მოგებულ თამაშს წაგვაგებინებს...**

**დავით მხეიძე**

№ 48. ოთხშაბათი, 16 მარტი, 2011 წელი.

განსჯა

# გლობალიზაცია და პრიმიტიული ანტი-გლობალიზმის საფრთხე

**საქართველოში დღეს არსებული სიტუაცია ყველა პირობას ქმნის იმისთვის, რომ საზოგადოებაში გაძლიერდეს ანტიგლობალისტური და ზოგადად ანტიდასავლური განწყობა. თვითონ დასავლეთმა, რომლის მმართველი წრეების დირიჟორობითაც მიმდინარეობს ეს პროცესი, ამისთვის უკვე ყველაფერი გააკეთა — ქართველი ხალხი, მისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე იშვიათად ყოფილა ისეთ მძიმე სიტუაციაში როგორც ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკურად, როგორც დღევანდელი „გლობალიზებული“ მსოფლიოს პირობებში.**

ქართულ სახელმწიფოს, როგორც უკანასკნელი წლები განსაკუთრებით კარგად გვაჩვენებს, „ახალი მსოფლიო წესრიგის“ სისტემაში მხოლოდ ის როლი ერგო, რომ პერიოდულად „რუსეთის სახე დაანახოს ცივილიზებულ მსოფლიოს“, ხოლო ქართველი ხალხის „ჯილდო“ ამ ყველაფრისთვის არის ის, რომ იგი გადაქცეულია იაფ სამუშაო ძალად არა მარტო „განვითარებულ ქვეყნებში“, არამედ ჩვენს საკუთარ ქვეყანაშიც და რაც ყველაზე დამთრგუნველია, ამის შენიღბვასაც კი აღარავინ ცდილობს: პირიქით, უკვე ოფიციალურადაც კი მოგვიწოდებენ, რომ „მუშაობა ნებისმიერ ხელფასად“ ეს არის შრომის კულტურის შექმნა, რომელიც თურმე აქამდე არ გაგვაჩნდა.

დღეს ყველა მეთოდებით ცდილობენ, რომ ადამიანებმა ვერ გააცნობიერონ სიტუაცია და უფრო მეტიც — გამრუდებული წარმოდგენა შეექმნათ თავიანთი მდგომარეობის რეალურ მიზეზებზე. ამას ემსახურება ომისა და სამხედრო საფრთხის პერმანენტული პროპაგანდა, რადგან ამ შემთხვევაში ძალიან ადვილია პატრიოტული თემების მანიპულირებით საზოგადოებაში დაგროვილი აგრესიის მართვა და მისი „გადამისამართება“ მოწინააღმდეგე ქვეყნისკენ. თუმცა ამ „მეთოდმა“ არ შეიძლება მუდმივად გაამართლოს. დღეს სულ უფრო მეტი ადამიანი აცნობიერებს, რომ ჩვენი პრობლემების სათავე არის არა სამხედრო დაპირისპირება პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის, არამედ ის გლობალური სისტემა, რომელშიც გვიწევს ჩვენ ცხოვრება და რომელიც წარმოშობს ამ დაპირისპირებებს. შესაბამისად, თუნდაც ტერიტორიული პრობლემები არის შედეგი და არა მიზეზი.

ყველა მცდელობის მიუხედავად, ხალხის დამოკიდებულება თანამედროვე „დემოკრატიის“ მიმართ ნელ-ნელა, მაგრამ მაინც იცვლება. ინტერნეტის ეპოქაში ინფორმაციის დამალვა შეუძლებელი თუ არა, უკვე ძალიან ძნელია. ამიტომ დღითი დღე სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი აცნობიერებს, რომ საქართველო ნეოკოლონიალიზმისა და „ახალი მსოფლიო წესრიგის“ კლასიკურ მსხვერპლად გადაიქცა, რომელსაც რატომღაც საკმაოდ უწყინარ სახელს — „გლობალიზაციას“ უწოდებენ.

მაგრამ ეს გამოფხიზლება სერიოზულ საფრთხეებსაც შეიცავს. განსაკუთრებით თვალშისაცემია ის, რომ დღევანდელ საქართველოში აშკარად ჭარბობს „პრიმიტიული ანტიგლობალიზმი“, რომელიც იბრძვის არა დღევანდელი გლობალიზაციის უსამართლო ფორმის, არამედ ზოგადად ინტეგრაციის წინააღმდეგ, რითაც სინამდვილეში იმავე გლობალისტების პოზიციებს ამყარებენ.



მოწინააღმდეგეთა არგუმენტებს, რომ მსოფლიო ისტორია სხვა არაფერია, თუ არა სხვადასხვა მასშტაბის „ინტეგრაციათა“ ჯაჭვი, ამ ტიპის „ანტიგლობალისტები“ ვერაფერს უპირისპირებენ იმის გარდა, რომ მეორე უკიდურესობაშივარდებიან და ამბობენ, რომ ეს ტყუილია და ცალკეულ სახელმწიფოებს შეუძლიათ განვითარება **ერთმანეთისგან დამოუკიდებლად,** მხოლოდ საკუთარ პოტენციალზე დაყრდნობით.

რა თქმა უნდა ამგვარი მიდგომა უკვე წინასწარ აყენებს „გლობალისტებს“ გამარჯვებულის მდგომარეობაში, რადგან ვერც ერთი მოაზროვნე ადამიანი ვერ დაეთანხმება „საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვის“ იდეას და ვერ დადგება მათ გვერდით.

სწორედ ამიტომ ამბობენ, რომ ასეთი „ანტიგლობალიზმი“ საბოლოო ჯამში სწორედ „ახალი მსოფლიო წესრიგის“ წისქვილზე ასხამს წყალს, რადგან ამგვარი ნაციონალისტური რიტორიკის გამო ეს ადამიანები ცხადდებიან მსოფლიოს ბუნებრივი პროგრესისა და ინტეგრაციის მოწინააღმდეგეებად, რაც საბოლოოდ საშუალებას აძლევს „ახალი მსოფლიო წესრიგის“ მესვეურებს საერთოდ წაშალონ ყოველივე ეროვნული, რაც ჯერ კიდევ არ არის განადგურებული და ეს „ფაშიზმის პრევენციადაც“ კი მონათლონ.

სხვათა შორის, სწორედ ეს მოხდა საქართველოში 90-იანი წლების დასაწყისში, მაგრამ ეს უკვე სხვა, უზარმაზარი თემაა...

ფაქტია, რომ გლობალიზაციასთან და ნეოიმპერიალიზმთან ბრძოლა არ შეიძლება მიმდინარეობდეს ნაციონალიზმის ლოზუნგით, რადგან ასეთი ბრძოლა არა მარტო წარმატებას ვერ მიაღწევს, არამედ საბოლოო ჯამში კიდევ ერთხელ „დაამტკიცებს“, რომ განვითარების გლობალისტურ მოდელს ალტერნატივა არ გააჩნია.

მაგრამ მაშინ რა შეიძლება დავუპირისპიროთ ამ საფრთხეს?

საღი აზრი გვიკარნახებს, რომ გლობალისტებთან კამათი შეიძლება და უნდა წარიმართოს კიდეც „მათსავე მოედანზე“ და მათივე ლოგიკით. მხოლოდ ასე შეიძლება მათი დამარცხება. ეს კი პირველ რიგში გულისხმობს, რომ ერთხელ და სამუდამოდ გავარკვიოთ: **რა არის გლობალიზაცია და რამდენად შეიძლება ინტეგრაცია ვუწოდოთ იმას, რაც დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს.**

„გლობალისტები“ ნამდვილად მართლები არიან იმაში, როცა ამბობენ, რომ ეკონომიკური, პოლიტიკური და თუნდაც კულტურული ინტეგრაცია დღევანდელ მსოფლიოში აბსოლუტურად გარდაუვალია — უფრო მეტიც — მსგავსი პროცესები სხვადასხვა მასშტაბით ისტორიულ წარსულშიც მიმდინარეობდა, მაგრამ რატომღაც არავის მოსდის თავში, ჰკითხოს ამ ბატონებს: **არის თუ არა ინტეგრაცია ის, რაც დღეს ხდება?**

დავიწყოთ თუნდაც კულტურის სფეროთი.

ის, რაც დღეს კულტურის სფეროში მიმდინარეობს, არის არა კულტურათა ინტეგრაცია, რაც ყოველთვის ორმხრივი პროცესია, არამედ აშკარა კულტურული ანექსია, როცა ერთი კულტურა ცხადდება აღმატებულად ყველა დანარჩენზე და ეს „ყველა დანარჩენი“ განწირულია **უკვალოდ** გასაქრობად.

დღვანდელი „გლობალური“ კულტურა რომ ნამდვილად მსოფლიო ხალხების კულტურული ინტეგრაციის პროდუქტი იყოს, მაშინ იგი უნდა ითვალისწინებდეს ყველა ხალხისა და ცივილიზაციის საუკეთესო კულტურულ ტრადიციებს. სწორედ ამას ნიშნავს კულტურული სინთეზი, ხოლო დღევანდელი „მსოფლიო“ კულტურა სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა ამერიკული „მას“ — კულტურა, რომელიც არავითარ დათმობაზე წასვლას „სხვა კულტურებთან“ არ აპირებს. მას სურს, იქცეს „მსოფლიო კულტურად“, გავიდეს „გლობალურ“ მასშტაბებზე ისე, რომ არაფერი არ აიღოს განსხვავებული ცივილიზაციებიდან, ეს კი სხვა არაფერია, თუ არა **მსოფლიოს „კულტურული დაპყრობა“.**

**შესაბამისად, დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს არა კულტურათა ინტეგრაცია, არამედ კულტურული ანექსია!**

აბსოლუტურად ანალოგიურია სიტუაცია ეკონომიკის, პოლიტიკისა და საერთოდ ყველა იმ სფეროში, რასაც გლობალიზაცია შეეხო.

დღეს გვეუბნებიან, რომ მსოფლიო ეკონომიკის ბუნებრივი განვითარებისთვის აუცილებელია „ღია საზღვრები“ და თავისუფალი ბაზარი. ჩვენს მიერ ზემოთ უკვე ნახსენები „პრიმიტიული ანტიგლობალისტები“ ამაზე უპასუხებენ, რომ ეს იწვევს განვითარებადი ქვეყნების დაკაბალებას და იბრძვიან იმისთვის, რომ საზღვრები რაც შეიძლება „ჩაკეტილი“ იყოს.

არადა სინამდვილეში განვითარებადი ქვეყნების დაკაბალებას იწვევს არა ღია საზღვრები, არამედ ცალმხრივად ღია საზღვრები, რადგნ საზღვრის „გათავისუფლებას“ მეორე მხრიდან არც არავინ აპირებს.

განა უფრო ლოგიკური და ადვილი არ იქნებოდა დაგვემარცხებინა ეს ბატონები თავიანთი ლოგიკით? ამისთვის კი საკმარისია ვკითხოთ: თუ მსოფლიოს დღევანდელი განვითარების დონე აუცილებლად მოითხოვს საზღვრების „გათავისუფლებას“, რატომ თვითონ „განვითარებული ქვეყნები“ არ აკეთებენ იგივეს? ჩვენი საზღვრები მათთვის უკვე კარგა ხანია ღიაა, ევროპელს ან ამერიკელს ისევე ადვილად შეუძლია ჩვენს ქვეყანაში შემოსვლა, როგორც მეზობელ ქალაქში გასეირნება, მაგრამ თავიანთ ქვეყნებს ისინი კვლავ უმკაცრესი სავიზო და საბაჟო რეჟიმით იცავენ ჩვენგან. რატომ?

იმიტომ, რომ ამ სფეროშიც სახეზე გვაქვს არა სამართლიანი და ორმხრივი ინტეგრაცია, არამედ მსოფლიოს ეკონომიკური დაპყრობა, რომელიც ძალიან უნდათ ინტეგრაციად „გაასაღონ“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დღეს „განვითარებადი სამყაროს“ პრობლემა არის არა ინტეგრცია, არმედ პირიქით, არასრული და ცალმხრივი ინტეგრაცია, რაც გამოხატულებას პოულობს „ახალ მსოფლიო წესრიგსა“ და „გლობალიზაციაში“. ამიტომ განვითარებადი ქვეყნების, ანუ ჩვენს ინტერესებში შედის არა ის, რომ ვიბრძოლოთ თვითიზოლაციის ლოზუნგით (რაც საშუალებას მისცემს იგივე „გლობალისტებს“ რომ კაცობრიობის ბუნებრივი პროგრესის მტრებად გამოგვაცხადონ და „ისტორიის ჩარხის უკუღმა შემობრუნების“ მცდელობაში დაგვდონ ბრალიძ არამედ ის, რომ „განვითარებული ქვეყნებიც“ ვაიძულოთ ჩაგვაყენონ მათთან თანაბარ პირობებში და დაგვითმონ თავიანთი სუვერენიტეტის ზუსტად იმდენი ნაწილი, რამდენსაც ითხოვენ ჩვენგან.

რა თქმა უნდა „ახალი მსოფლიო წესრიგი“ ამაზე არასდროს დათანხმდება. არ დათანხმდება თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ორმხრივი ინტეგრაცია და ხალხთა უფლებების გათანაბრება მოსპობს დღევანდელი „ეკონომიკური წესრიგის“ მთავარ „ბურჯს“ — იაფ სამუშაო ძალას, მაგრამ თუ საკითხს ასე დავაყენებთ, მაშინ უკვე მთელი მსოფლიოსთვის ნათელი იქნება, ვინ უშლის ხელს მსოფლიო ინტეგრაციას — „ანტიგლობალისტები“ განვითარებადი ქვეყნებიდან თუ თვით „ახალი მსოფლიო წესრიგისა“ და გლობალიზაციის არქიტექტორები.

**ზვიად ავალიანი**

სტიქიის კვალდაკვალ

## შეხმიანება ტოკიოსთან

ახლახან ჩვენი გაზეთის სასურველი სტუმარი გახლდათ ცნობილი მკვლევარი-გენეტიკოსი, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენეტიკის მიმართულების (ასე ჰქვია კათედრას „უახლესი წელთაღრიცხვით“..ძ ხელმძღვანელი, პროფესორი თეიმურაზ ლეჟავა („სრ“, 8 მარტი, წერილი „პირველი მერცხალ-ინსტიტუტი“ძ.

ბატონი თეიმურაზის 20-ზე მეტი აღზრდილი მოწაფიდან რამდენიმე გენეტიკოს-პროფესორი წარმატებით მოღვაწეობს საზღვარგარეთის უნივერსიტეტებსა თუ სამეცნიერო ცენტრებში (აშშ, გერმანია, იაპონია, რუსეთი...ძ. იმათ შორისაა „ორმაგი აღზრდილი“, ვაჟიშვილი ალექსანდრე (სანდროძ ლეჟავა, ტოკიოს მახლობელი ერთი ფრიად პრესტიჟული კვლევითი ცენტრის წამყვანი თანამშრომელი — პროფესორი. სანდრო მეუღლითა და ორი ვაჟკაცი შვილით (იაპონურ ენაზე რომ ჩინებულად სასწავლო თხზულებებს წერენძ იმ 35 ქართველის რიცხვშია, იაპონიაში რომ ცხოვრობენ თურმე.

ამომავალი მზის ქვეყანას რომ 11 მარტს არნახული სტიქიური უბედურება დაატყდა, ადვილი წარმოსადგენია ცოლ-ქმრის — ნელი სალაძისა და თეიმურაზ ლეჟავას შეშფოთება ახლობელთა ბედის გამო.

რასაკვირველია, დავურეკე ძველისძველ კეთილ ნაცნობს, თეიმურაზს და ვკითხე, ტოკიოს ხომ არ შეხმიანებიხართქი. — მადლობა ღმერთს, ყველანი კარგად არიან, ეგ არის, სანდრო, სამსახურიდან შინ მიმავალი, მთელი 16 საათით(!ძ გზაში შეყოვნებულა და ჩვენ ჩვენი დაგვემართა, სანამ სახლამდე მიაღწევდაო, — მიპასუხა...

**თამაზ ეზანოიძე**

ინფორმაცია

## ბათუმში ველო-ტაქსების შემოყვანაზე ხელშეკრულება გაფორმდება

**ირლანდიურ კომპანია „ვოლდ ვაილდ ინფრასტრაქჩა ალიანსი ჯორჯიასა“ და ბათუმის მუნიციპალიტეტს შორის, ველო-ტაქსების შემოყვანაზე ხელშეკრულება სავარაუდოდ დღეს საღამოს, ან ხვალ გაფორმდება.**



**ირლანდიური კომპანიის წარმომადგენლები უკვე ბათუმში იმყოფებიან და ხელისუფლების წარმომადგენლებთან კონსულტაციებს გადიან და ხელშეკრულების დეტალებს აზუსტებენ. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ კი ბათუმში ველო-ტაქსების შემოყვანასაც დაიწყებენ.**

**ალსანიშნავია, რომ ბათუმის საკრებულომ ველო-ტაქსების პარკირების ტარიფი განსაზღვრა. ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი კირთაძის თქმით, პარკირების ადგილებზე ველო-ტაქსების ერთი თვით დგომის ტარიფი 10 ლარით განისაზღვრა. 6 თვით - 50 ლარი, ხოლო ერთწლიანი პარკირების ტარიფი კი 90 ლარით. პარკირებაზე მონიტორინგს და ზედამხედველობას კი მუნიციპალური საწარმო „ბათუმის პარკირება“ განახორციელებს.**

**ბათუმის მერიაში აცხადებენ, რომ ტრანსპორტის ეს სახეობა საკმაოდ იაფია და რაც მთავარია, ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტი ძველ ბათუმში, ბულვარში და ბოტანიკურ ბაღში იმოძრავებენ.**

**საწყის ეტაპზე ბათუმში დაახლოებით 70 ველო-ტაქსი იმოძრავებს, რომლის მოდელი და ფერიც სამომავლოდ განისაზღვრება. ველო-ტაქსით მგაზვრობა სავარაუდოდ ერთი კილომეტრი 1 ლარი ეღირება და მისი გამოჩენა ბათუმის ქუჩებში დაახლოებით მაისის ბოლოსთვისაა დაგეგმილი.**

ჯი-ეიჩ-ენი

ფესვები

**სოციალური ფენომენი ქართველი კაცის მუდმივი საფიქრალი და საზრუნავი რომაა, ამას ჩვენი ძველი ისტორიაც გვიდასტურებს და ახალიც. „ქართლის ცხოვრება“ უამრავ მასალას გვაძლევს ამ მხრივაც. თუ იდეალზე მიდგება საქმე, სახელმწიფო მმართველობის ამ თვალსაზრისით რუსთაველის ფორმულა უნდა ჩაითვალოს მსოფლიო კლასიკად: „ყოვლთა სწორად წყალობასა, ვითა თოვლსა მოათოვდნენ, ობოლ-ქვრივნი დაამდიდრეს და გლახაკნი არ ითხოვდნენ, შიგან მათთა სიბრძნისათა, თხა და მგელი ერთად სძოვდნენ“.**

# ეროვნული და სოციალური ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზროვნებაში

*„წარსული მკვიდრი საფუძველია მომავალისა“*

**ილია ჭავჭავაძე**

ეს ბოლო ორი საუკუნეც ქართველ კაცს არ შეუწყვეტია ამ საკითხზე ფიქრი და განსჯა. ჯერ კიდევ 1830-1832 წლების შეთქმულთა პროგრამაში აისახა ეს, მერე კი ილიამ და მისმა თანამოაზრეებმა მწყობრი თეორიული ბაზა მისცეს მას. სოციალური სამართლიანობის იდეა ილიას **„საერთო ნიადაგის“** თეორიის ერთ-ერთი განმსაზღვრელი პრინციპია: **„ჩემი გულითადი რწმენა ისა ყოფილა და არის, რომ ერის წინსვლა-განვითარება და ბედნიერება მხოლოდ ყველა საზოგადოებრივ ძალთა ერთიანობით შეიძლება დიდ-პატარაობის გაურჩევლად...“**

ამიტომ იყო მისთვის პრინციპულად მიუღებელი სოციალური ანტაგონიზმის და კლასობრივი ბრძოლის მარქსისტული დოგმა: **სოციალური დემაგოგიის ნაცვლად, სოციალური სამართლიანობა** — ასეთია მისი მრწამსი. მაგრამ ერთია იდეურ და თეორიულ დონეზე სოციალური სამართლიანობის ქადაგება, მეორე და უმთავრესი კი, მისი პრაქტიკული განხორციელება. სხვანაირად ხომ, ვერც „ყოვლთა სწორად წყალობას“ შეასხამ ხორცს. დავით აღმაშენებელი მიტომაც იყო დიდი და ბრძენი მმართველი, რომ მან გიორგი ათონელისეული **„ერთნებაობითა და თანადგომით“** დარაზმა ერი და ბერი ამ მიზნის მისაღწევად. ასე შექმნა მან მაშინდელი **„დიდი საშუალო კლასი“** — ნებისმიერი ეპოქის და ნებისმიერი ქვეყნის სოციალური სტაბილურობის საფუძველი...

ეკონომიკა და ერის მწარმოებელი ძალების განვითარება იყო და არის „ბალავრის ქვა“ სახელმწიფოში სოციალური სამართლიანობის დასამკვიდრებლად. ამიტომ წერდა ილია — **„ეროვნული ეკონომიკის გარეშე არ არსებობს ეროვნული სახელმწიფო“** და მოითხოვდა „ოქროვანი ხანის საქართველოს“ ძველი სასოფლო-სამეურნეო კორპორაციების („ხოდაბუნების“ძ საფუძველზე „ქართული სახალხო კაპიტალიზმის“ ფორმირებას: კაპიტალიზმმა ამ 200-300 წლის მანძილზე ყველა ქვეყანაში თავისი სპეციფიკური სახე მიიღო და საქართველოს ბუნებრივ-ისტორიული განვითარებით ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური განვითარება ხოდაბუნური კორპორაციების **ერთიანი ეროვნული სისტემით და აგრარულ-ინდუსტრიული სტრატეგიით უნდა წარიმართოს** — ასკვნიდა ილია. საქართველოს მომავალი, მისი ხვალინდელი საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარება ამ და „საერთო ნიადაგის“ თეორიის სხვა ნებისმიერ სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და ზნეობრივ პრინციპებს უნდა დაეფუძნოს. **„ქართული სახალხო კაპიტალიზმისაკენ“ გზა ამაზე გადის...**

ილიამ და მისმა თანამოაზრეებმა ბევრი მათგანის პრაქტიკული განხორციელებაც სცადეს კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარების გარიჟრაჟზე საქართველოში. **„უფულო ერი ფულიანთა საძოვარია, მათი საცხოვრისია“,** წერდა იგი და თბილისსა და ქუთაისში საადგილ-



მამულო ბანკების დაარსებით ცდილობდა, ერს არ დაეკარგა თავისი მთავარი სიმდიდრე — მიწა. ამერიმერის მთასა თუ ბარში ყველას იმას ემუდარებოდა, რომ „მიწა უპატრონოდ არ დაეგდოთ“: **„მიწას გაუფრთხილდით!“** — ასეთი იყო ილიას გზავნილი 1903 წელს სოხუმში წარმოთქმული სიტყვისა აფხაზეთისა და მაშინ ჯერ კიდევ სოხუმის ადმინისტრაციულ ოლქში შემავალი ჯიქეთისა და „იმერეთის ველის“ ქართველობისადმი...

ბოლშევიკების მიერ საქართველოს ხელახალ ოკუპაციამდე ნიკო ნიკოლაძის, დავით ჯანდიერის, ვარლამ ჩერქეზიშვილის, ძმები ზუბალაშვილების, დავით სარაჯიშვილის და სხვათა მიერ ზემოდმოხსენიებული „საერთო ნიადაგის“ პრინციპზე შეიქმნა ქართული კაპიტალიზმის რიგი საწარმოო-სამეურნეო ნიმუშებიც. მაგრამ ნიმუში ნიმუშად დარჩა — ყველა ეს ცდა უდღეური აღმოჩნდა: რუსული ბოლშევიზმით გაუკულმართებული ქართული სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია (ბოლშევიკურიც და მენშევიკურიცძ, უძლური იყო გაეკეთებინა ეს — **დაებრუნებინა საქართველო „ძნელბედობით“ შეწყვეტილი ქვეყნის ბუნებრივ— ისტორიული განვითარების ეროვნული კალაპოტისთვის.**

ამით ილიას ეს დიდი იდეა — **„საქართველოს ძველი ოქროვანი ხანიდან მისი ახალი ოქროვანი ხანისკენ“** XXI საუკუნის თაობებს გადმოეცათ. XX საუკუნეში კი, ჩვენი ეროვნული ეკონომიკა, ქართული სამეწარმეო სული ორგზის ჩაკვდა: 20-30-იან წლებში ბოლშევიკების „კლასობრივი ბრძოლის“ სოციალური დემაგოგიით, ხოლო 70-80-იან წლებში იგი შევარდნაძის იგივე სოციალურ დემაგოგიას და კარიერიზმს შეეწირა. ასე მოადგა ყოველმხრივ განიარაღებული საქართველო XXI საუკუნეს...

სოციალური და ეროვნული იდეალების თანამედროვე გააზრებასთან ყველაზე ახლოს მაინც, სოციალ-ფედერალისტები და მათი ლიდერები — არჩილ ჯორჯაძე, კიტა აბაშიძე, გიორგი გოგელია, მიხაკო წერეთელი, გიორგი დეკანოზიშვილი და ვარლამ ჩერქეზიშვილი აღმოჩნდნენ. ეს უკანასკნელი ევროპული მასშტაბის დიდი მოაზროვნე და მოღვაწე იყო, **„ანარქო-სინდიკალიზმის“ ერთ-ერთი ფუძემდებელი** დასავლეთ ევროპაში. ბევრს რატომღაც ანარქიზმი და მისი სხვადასხვა მიმდინარეობანი რაღაც ანომალიად, რეციდივიზმად და ანტიმეცნიერებად მიაჩნია (ესეც ბოლშევიკების გებელსისეული პროპაგანდის ანარეკლიაძ, მაგრამ სინამდვილეში იგი **მმართველობის მკაცრი სახელმწიფოებრივი ცენტრალიზმიდან რეგიონალიზმზე და ფართო ადგილობრივ თვითმმართველობაზე თანდათანობითი გადასვლის მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკური პროგრამა და მომავლის იდეოლოგიაა.**

ჩვენ ხომ, უფრო უცხოელების გვჯერა და გვწამს და ამ მხრივ, გვინდა დავაფიქსიროთ ვარლამ ჩერქეზიშვილთან ერთად, „ანარქო-სინდიკალიზმის“ და მისი საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაციის — „ანარქისტული წითელი ჯვრის“ დამფუძნებლების ფართოდ ცნობილი სახელები — რ.როკერი, ა. შაპირო, თ. ვაისბერკერი, ა.კროპოტკინი, ჰ.ვეინშტეინი, კ.ცილიაკუნი, ი.კატცენბელგენი, ი.გინსბურგი, ა.ბერკმანი, ე.გოლდმანი, მ.შტეიმერი, ს.კრისტი, დ.პინელი და ათეულობით და ასეულობით სხვა ცნობილი მოღვაწენი...

აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ მათგან რიგი პრინციპები უკვე დაინერგა დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში. **სწორედ ეს გახდა ევროპის გაერთიანებისა და სტაბილური განვითარების გარანტი დღეს. პირველ რიგში, ამით არის ანარქო-სინდიკალიზმი და ევროპული რეგიონალიზმი ღირებული ჩვენთვის...** ისიც ხომ ფაქტია, რომ ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-იან წლებში ეს იდეოლოგია და მასზე დაფუძნებული ე.წ. „არასახელმწიფოებრივი სოციალიზმის“ სოციალურ-ეკონომიკური პრინციპები სკანდინავიის ქვეყნების სახელმწიფო პოლიტიკად იქცა, მათი სოციალური პრობლემების გადაწყვეტის საფუძვლად. სწორედ ამით დაუპირისპირდნენ ისინი ერთი მხრივ, ბოლშევიზმს და მეორე მხრივ, ფაშიზმის სოციალურ დემაგოგიას და ტოტალიტარიზმს...

და ჩვენც თუ ევროპას და ევროპულ ღირებულებებს ვესწრაფვით, მასთან ერთად კი, სტაბილურ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, უნდა მივყვეთ წინაპართა გზას. **სოციალ-ფედერალიზმის იდეები ამ გზის თანამედროვე ალტერნატივაა. იგი ამასთან, სოციალურის და ეროვნულის ორგანული მთლიანობის, თუ გნებავთ, პატრიოტიზმის განსახიერება და გამოვლენაა.** რად ღირს ამ მხრივ, თუნდაც, სოციალ-ფედერალიზმის ისეთ მოღვაწეთა სახელების გახსენება, როგორებიც ვთქვათ, გრიგოლ რობაქიძე, ან შალვა ნუცუბიძეა. ასეთები კი, ათობით შეიძლება ჩამოთვალოს კაცმა...

**ელბერდ ბატიაშვილი**

**(დასასრული იქნება)**

ავღანეთი და პარლამენტი

# რა ღირს ჯარისკაცის სიცოცხლე?

ტერიტორიებდაკარგული ქვეყნის პარლამენტი სულმოუთქმელად ამტკიცებს ქართული სამშვიდობო სამხედრო კონტინგენტის ზრდას ავღანეთსა და ერაყში. ყოველივე ხდება მაშინ, როდესაც ნატოს წევრ ევროპულ სახელმწიფოებს ამ ცხელი წერტილებიდან თავისი საჯარისო შენაერთები გამოჰყავთ. სააკაშვილი და მისი ჯიბის პარლამენტი კი ცდილობს ამ დანაკლისის შევსებას და კუდის ქიცინით ელოდება პარტნიორისგან მადლობის ნიშნად თავზე ხელის გადასმას. ტკბილი სიტყვებიც არ იგვიანებს. ობამა ღვაწლს უფასებს სააკაშვილს. დიდი ბრიტანეთის ლორდთა პალატაში გამოსვლისას ერთ-ერთმა დეპუტატმა ისაუბრა რა საქართველოს დამსახურებაზე საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში, აღნიშნა, რომ პატარა სახელმწიფომ (საქართველომძ უფრო დიდი მსხვერპლი გაიღო, ვიდრე ნატოს წევრმა ქვეყნებმა დანიამ, პოლონეთმა და ა. შ.

ასეთი შექების შემდეგ ცხადია, რომ „ვარდოსნებს“ ხელს არ აძლევთ სამშვიდობო ოპერაციების დროს ჩვენი კონტინგენტის შესახებ არასასიამოვნო ინფორმაციების გავრცელება. ეშინიათ ანტიერაყული და ანტიავღანური განწყობილების შექმნისა. რამდენიმე წლის წინათ, როდესაც ჩვენს ჯარისკაცებში მსხვერპლი მომრავლდა, საზოგადოებაში მსგავსს უკვე ჰქონდა ადგილი. ხელმოწერებიც შეგროვდა ცხელი წერტილებიდან ჯარისკაცების გამოყვანის მოთხოვნით. მაშინ ყველაფერმა უმტკივნეულოდ ჩაიარა. ვარდს“ კიდევ ჰქონდა შემორჩენილი სურნელი.



თუ კოსოვოსა და ავღანეთში ქართველი სამხედროები თავიანთ უცხოელ კოლეგებთან შედარებით თანაბარ პირობებში არიან, ამას ვერ ვიტყვით ერაყში მოსამსახურეებზე (იგულისხმება მატერიალური ანაზღაურებაძ.

უმაღლესი რანგის ქართველი ოფიცერი თვეში 1500 დოლარს (შემდეგ თანამდებობებისდა მიხედვითძ იღებს, მაშინ როდესაც ყველაზე დაბალი რანგის ამერიკელ სამხედროებს თვეში 10 ათასი დოლარს უხდიან.

დაჭრილ ქართველ სამხედროს აშშ ფულს არ უხდის. მას „საზღვარგარეთ სამხედრო ოპერაციებში მონაწილე ქართველი ჯარისკაცების ფონდი“ აფინანსებს. ცხადია, თანხა მიზერულია. ამერიკელ ყველაზე დაბალი რანგის დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეს, მის ოჯახს 200 ათას დოლარს აძლევენ. სხვაობაა დაღუპულთა ოჯახებისთვის მატერიალური დახმარების მხრივაც. ჩვენი ჯარისკაცის ოჯახს კომპენსაციას აძლევენ ათმაგი ადგილობრივი ხელფასის ოდენობით. მაშინ, როდესაც ყველაზე დაბალი რანგის აშშ სამხედრო მოსამსახურის ოჯახი 400 ათას დოლარს ღებულობს.

რადგანაც ანტიერაყულ კოალიციას ლომის წილად აშშ აფინანსებს, სხვაობები ქართველ და ამერიკელ სამხედროთა დაფინანსებაში უდიდესია. გამოდის, რომ ამერიკელებს ქართველების სიცოცხლე და სისხლი გაცილებით იაფი უჯდებათ. ჩვენი ქვეყანა არასრულფასოვანი პარტნიორის როლში გამოდის.

სამშვიდობო მისიის მონაწილე ქართველი სამხედრო მოსამსახურე დავიწყებული ჰყავს საქართველოს ხელისუფლებასაც. სამშობლოში დაბრუნებული არ ითვლება ომის მონაწილედ და ვერ ისარგებლებს დაწესებული ისედაც მიზერული შეღავათებით.

ნანახი მსხვერპლის გამო ბევრმა გავლენიანმა ქვეყანამ მთლიანად, ან ნაწილობრივ გაიყვანა თავისი საჯარისო შენაერთები. საქართველო კი პირიქით, ზრდის და ახდენს მათი თავისი სამხედრო კონტინგენტით ჩანაცვლებას.

ორიოდე კვირის წინათ რუსული ოკუპაციის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეული ჩატარდა. პატივი მიაგეს გმირულად დაღუპულ ქართველ იუნკერებს, რომელთაც სამშობლოს შესწირეს თავი. მაგრამ დღეს ცხრა მთას იქით იღუპებიან და არ იციან რატომ და რისთვის.

ორიოდე კვირის წინათ სამხედრო დავალების შესრულების დროს ნაღმზე აფეთქდა კაპრალი გიორგი ავალიანი. დაიჭრნენ მასთან ერთად მყოფი კაპრალები — ედნარ აბულაძე და ნიკოლოზ დეისაძე. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. სააკაშვილის ყურმოჭრილმა მონამ საქართველოს პარლამენტმა მაშინ, როდესაც ავალიანი ახალი გარდაცვლილი იყო, ხოლო დაჭრილების სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი წყდებოდა, ერთხმად (პოზიცია-ოპოზიციანადძ მიიღო დადგენილება ავღანეთში ქართული სამხედრო კონტინგენტის რიცხვის გაზრდის თაობაზე.

ნათელი ხდება, რომ ლიტვის, ახალი ზელანდიის, გერმანიის, პოლონეთის პარლამენტარებს თავიანთი ერთი ჯარისკაცის სიცოცხლე და სისხლი მეტად უღირთ, ვიდრე მათ კოლეგებს ჩვენი მრავალპარტიული პარლამენტიდან.

**ზაზა ბილიხოძე**

◉ ცხელ გულზე

*... იქნებ ამ ჩემი წერილის საგულისჭირო სათქმელი უფრო რეპლიკის შესატყვისია, მაგრამ წერა-წერაში, თურმე, ზომა-წონას გავცდი კიდეც, — ცხელ გულზე არც დამეძრახება!*

*აგერ, ახლახან, ჩვენი საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებითა და მის ფარგლებში პროგრამის — „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ — დაინტერესებულა თვით გერმანიის კანცლერი — ალბათ, ეს გულწრფელი სიტყვები იქნებოდა ქ-ნ ანგელა მერკელის მხრივ, რომ არა მარტო ინგლისურენოვანი მასწავლებლების ჩამოყვანა მოხდეს საქართველოში, არამედ გერმანიიდანაც გამოიგზავნოს პედაგოგები!*

*... ეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბრძანა ახლახან ტრადიციულ ბრიფინგზე თანახმად „ჯი-ეიჩ-ენის“ ცნობისა („სრ“ 8. II № 24).*

# „კოკავ, შენ გეუბნებოდე“...

## ცოტა რამ დაქართულებულ გერმანულ შედევრებზე

... ნუთუ ბატონმა ჯალაღანიამ არ იცის, გერმანული ენის რამდენი მცოდნე, გნებავთ მასწავლებელი, გნებავთ მთარგმნელი ბოლო წლებში „თამაშგარეთ“ რომ დარჩა — არადა, საქართველოში გერმანული ენის მცოდნეთა ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდით!.. პირიქით, საკმაოდ ტრადიციული დარგია ჩვენი ეროვნული კულტურისა! მარტო ქ-ნ **დალი ფანჯიკიძის** პედაგოგიური თუ მთარგმნელობითი ღვაწლი რაოდენ წონადი და ცნობილია!

დღესდღეობით ფრიად ქმედითი კერაა ამ მხრივ გოეთეს ინსტიტუტის ფილიალი, რომელიც 1955 წლიდან არსებობს და პირველი დირექტორი პეტერ ჰეშელე ბრძანდებოდა; ამჯერად კი ბატონი ვერნერ ვიოლი აგრძელებს წინამორბედთა საქმიანობას.

სწორედ ამ ინსტიტუტის ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა არაერთი გერმანული ნაწარმოები ქართულად! ასევე განათლების მნიშვნელოვანი კერაა გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების თბილისის გაერთიანება (1970 წ.ძ, რომელიც ცნობილი გერმანისტის ბატონ ოთარ ჯინორიას თაოსნობით დაარსდა. წლების მანძილზე ამ პოპულარულ სამეცნიერო კერას ხელმძღვანელობდნენ ცნობილი ქართველი გერმანისტები დავით ლაშქარაძე, ნოდარ კაკაბაძე, ამჯერად მისი პრეზიდენტია პროფესორი მანანა პაიჭაძე.

საგულისხმო ფაქტი: დამფუძნებელ კრებაზე საზოგადოების საპატიო წევრად XX საუკუნის ქართული ლიტერატურის კლასიკოსი კონსტანტინე გამსახურდია რომ აირჩიეს, მისი ადრეული ქმნილების — „გოეთეს ცხოვრების რომანის“ მეოხებით შეიყვარა არაერთმა თაობამ გოეთე.

22 მარტი კი გოეთეს ეძღვნება!

მარტო გოეთეს ინსტიტუტის მიერ 2005 წელს გამოცემული გერმანულენოვანი მხატვრული ლიტერატურის ქართული თარგმანების ბიბლიოგრაფია რად ღირს! (შემდგენელი დოქტორი ლალი ქეცბა-ხუნდაძე) — იგი მოიცავს თარგმანებს (1852-2002ძ — როგორი ამპლიტუდაა! 1859 წელს „ბედა მქადაგებელი“ თარგმნა ილია ჭავჭავაძემ, გრიგოლ ორბელიანის ხმით კი გაჟღერდა (1865 წ.ძ გოეთეს „მგზავრის სიმღერა“ სათაურით — „მთანი მაღალნი“, რომელიც შემდგომ მრავალმა ქართველმა თარგმნა და ამ ლექსის ქართული თარგმანები ცალკე გამოსცა 2002 წელს გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების თბილისის გაერთიანებამ და რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა — ცნობილი გერმანისტის, დოქტორ გურამ ჭოხონელიძის რედაქტორობით და შესავალი წერილით — „მგზავრის მწუხრის სიმღერის გამო“. დიახ, პირველობა გრიგოლ ორბელიანის ხვედრია, — მერე რა, რომ ლერმონტოვიდან გადმოუქართულებია — ერთმა ლექსმა სამი პოეტის მუზა შეაერთა!

**„მთანი მაღალნი,**
**მიმშვიდებულნი**
**ღამისა ბნელში მიეცნენ ძილსა;**
**მყუდრონი ველნი,**
**ტკბილსაყნოსელნი,**
**გულს უგრილებენ**
**შრომით ძლეულსა.**
**ხმა არსით ისმის...**
**არა რა იძვრის...**
**არც გზებზე მტვერი, არც ხის**
**ფოთოლი.**
**ჰფშვინვენ სიმშვიდით**
**ცა ვარსკვლავებით,**
**ქვეყანა ტკბილად მოსვენებული.**
**რა გაქვს, ძმავ მგზავრო,**
**გულს სამწუხარო,**
**ამ დროს შეშფოთვით რომ**
**მიაჭენებ?**
**შესდექ წამს ოდენ**
**მიმოიხედენ...**
**და გულს მშვიდობით**
**შენც განისვენებ...“**

... ეს მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლების ექოა! უფრო ადრე კი (1859 — „ცისკარი“, № 1ძ ილიამ „ბედა მქადაგებელი“ გადმოაქართულა.

... ახლა „ვერტერი“ 1900 წელს რომ გაიცნო ქართველობამ ივანე ახალშენიშვილის თარგმანით!

... ეს კი მეოცის დასაწყისი — 1915!

**„მგზავრის სიმღერა“**

**ვ.გიოტედან**

**სიმშვიდეში თვლემს**
**მწვერვალები მთის,**
**ქარი არა სცემს,**
**ფოთოლი არ თრთის;**
**მოსვენების ჟამს**
**მისცემია ტყეც,**
**მოითმინე წამს**
**მოისვენებ შენც.**

... ბატონო?! — დიახ, **გალაკტიონი,** ჭაბუკი გალა!.. მერე და მერე მეტადრე ეს პატარა შედევრი — ლამის 100-მდე პოეტის შთაგონების თავწყაროდ ქცეულა. პირადად ამ გენიოსის რამდენიმე ლექსი მითარგმნია (მეტწილ ჩემი დის რუსუდანის ბწკარედების მეოხებითძ, და ვინიცობაა ამ პატარა მგზავრულისკენაც „წამიცდეს“ ხელი!

**ვალერიან გაფრინდაშვილიც** დავაგემოვნოთ:

**„მგზავრის სიმღერა“**

**მაღალნი მთანი**
**სთვლემენ ღამეში,**
**დადუმდნენ ხმანი**
**ბნელ სიამეში.**
**ყველგან სიმკრთალე...**
**დაცხრნენ ჩიტები,**
**დაიცა, მალე**
**შენც დამშვიდდები!**

1930-იან წლებში უთარგმნია ეს პოეტს, — და სხვაც — არაერთი ლირიკული ქმნილება!

... არც კონსტანტინე გამსახურდია და გრიგოლ რობაქიძე დარჩებოდნენ ვალში, — ისიც ხომ ცნობილია, თვით დასავლეთელი მწერლები რომ შენატროდნენ რობაქიძისეული გერმანული ენის მადანს! და საერთოდ, თანამედროვე ქართულ მწერლობაშიც იმდენს აქვს გათავისებული გერმანელ მწერალთა ნაწარმოებები, რომ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა; თუ რეპლიკის ზომა-წონას ავცდი, სწორედ ამის გამოც, — არაფერი ჭირს საქართველოს საამისო, რომ აქეთ გვასწავლონ გერმანული ენა, ანუ ანა-ბანა!

თემამ გამიტაცა! ახლა თეატრისკენაც გავიხედოთ, შილერიც ისევე შეესისხლხორცა ქართულ სცენას, აგერ უკვე საუკუნეზე მეტია, როგორც შექსპირი! ანუ, — იმის თქმას ვაპირებდი, რომ არც ინგლისურზეა ქართველობა „მწყრალად“ თუ წარსულში, თუ აწმყოში!

... რაკი საბაბი მომეცა, როგორ არ ვახსენო აქვე რობერტ სტურუასეული დადგმით „კავკასიური ცარცის წრით“ ლამის მთელი მსოფლიო რომ მოიარა რუსთაველის თეატრის დასმა და სპექტაკლის გათამაშების სათვალავმა ექვსასს გადააჭარბა!..

რაკი სცენაზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით ცნობილი გერმანელი რეჟისორის ჰერმან ვედეკინდის ღვაწლს, რისი მეოხებითაც გერმანიის ქალაქი საარბრიუკენი და თბილისი დაძმობილდნენ!.. აკი მუზეუმიც დაარსა იქვე უკვე ხანდაზმულმა ხელოვანმა, სადაც დაავანა ქართული კულტურის იშვიათი ნიმუშები და მისთვის სანუკვარი საჩუქრები — ასეთი სიყვარული იშვიათია!...

... განა ცოლ-ქმარმა ზუტნერებმა თავდაუზოგავად არ იზრუნეს ქართულ-გერმანული ლიტერატურათმცოდნეობის — ზოგად-მწიგნობრიობის ტრადიციების დასამკვიდრებლად?!

ეს ფაქტები მართალია, საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ უბრალოდ მინდოდა განათლების სამინისტროს საამაყო პირს იქვე თუ ვერა, აქ მაინც ეხსენებინა ზოგადად.

**სხვათა შორის!..**

... არტურ ლაისტი?! იქნებ გერმანელებს აღარც ახსოვთ ეს ღვაწლმოსილი ადამიანი, საქართველოში კი მან ძალზე კეთილი კვალი დატოვა! ილია ჭავჭავაძის თანამოაზრე და მეგობარი, იგი აარსებს გაზეთ „კაუკაზიშე პოსტ“-ს გასული საუკუნის დასაწყისში (1906 წ.ძ, რომელიც 1926 წლამდე გამოდიოდა, XX საუკუნისავე 90-იან წლებში კი გამოცემა აღსდგა (რედაქტორი — ელზა გაბედავაძ, ამჟამად რედაქტორი ბრძანდება ქ-ნი ეთერ კეჭაყმაძე.

ვფიქრობ, საამაყოა და არა მისაფუჩეჩებელი, რომ წინა წლებში ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტი (ამჟამად ილიას სახელობის უნივერსიტეტიძ ცნობილი იყო ენათმცოდნეობით — კერძოდ გერმანული სკოლით — სანაქებო პედაგოგების და მთარგმნელების არაერთი თაობა გაუზრდია, ახლა კი ბევრი ღვაწლმოსილი პირი თამაშგარეთ აღმოჩნდა!

ორიოდე სიტყვა იმ მნიშვნელოვან კერაზე უნდა ითქვას, — თბილისის ავსტრიული ბიბლიოთეკა რომ ეწოდება! ბიბლიოთეკაში ხშირად იმართება ახალ-ახალი გერმანული და გერმანულენოვანი წიგნების თარგმანთა წარდგინება, შუქდება ავსტრიული ლიტერატურული ცხოვრების სიახლენი. დღიდან დაარსებისა, ამ კერას გერმანისტი მზია გალდავაძე ხელმძღვანელობს...

აღარ გავაგრძელებ სიტყვას გერმანულენოვან სკოლებზე — ამ საქმის თაოსანი იყო გერმანული ენის ცნობილი სპეციალისტი, პროფესორი გურამ რამიშვილი.

შეხმიანებისთვის მგონი კმარა!

**ნანა ღვინეფაძე**

◉ რა ხდება?

**ოფიციალურ მონაცემებს ამის თაობაზე, მართალია, არავინ ავრცელებს, მაგრამ, ამის მიუხედავად, ეჭვი არავის ეპარება, რომ საქართველოში სხვადასხვა ტიპის ყოფილი სახელმწიფო ქონების ახალ მეპატრონეთა შორის ყაზახეთი ერთ-ერთი ლიდერია. რამდენადაც შეიძლება ვიანგარიშოთ, ამ მხრივ მას მხოლოდ რუსეთი უსწრებს და, ალბათ, არაბეთის ქვეყნები ოდნავ ჩამორჩებიან. ამდენად, საქართველოში ბიზნესის წარმოებით, ჩვენში უძრავი ქონების შეძენით ყაზახური ბიზნესის დაინტერესება აშკარაა, თუმცა, როგორც ჩანს, ყველა მიმართულებით ერთიანად აჩქარებას საკუთრების ახალი მფლობელები მაინცდამაინც არ ჩქარობენ.**

# და ათოვს ასე „ყაზახურ“ ლიკანს...

## რა სიკეთეს უნდა ველოდეთ, როცა ჩვენს ქონებასაც და საკუთარი ხალხის ინტერესებსაც ასე უტვინოდ ვყიდით?

ყაზახური ბიზნესის „ნელ აჩქარებაზე“ ლაპარაკი იმიტომ დავიწყეთ, რომ ცოტა ხნის წინათ ბორჯომში ყოფნისას ყურადღება ლიკანის ყოფილი საკავშირო ჯანდაცვის სამინისტროს მე-4 სამმართველოს ცნობილმა დასასვენებელმა სახლმა მიიპყრო, რომელიც ეულად იდგა თოვლით დაფარულ ნაძვებს შორის. არადა, უკვე ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამ ობიექტზე, რომელიც 2006 წელს ყაზახეთის ნავთობისა და გაზის ნაციონალური კომპანიის შვილეულ „ყაზმუნაიგაზ-სერვისს“ მიყიდეს 10 მილიონ დოლარად, სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა დაეწყოთ, მაგრამ იქ ჯერაც აგური აგურზე არავის დაუდია. 40 ჰექტარზე გაშლილ ამ უნიკალურ ადგილზე, ეკონომიკის სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობების თანახმად, ყაზახეთის მხარეს ლიკანში საერთაშორისო დონის სამკურნალო-პროფილაქტიკური და გამაჯანსაღებელი კომპლექსის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები უნდა ჩაეტარებინა და გაისად იგი მწყობრში უნდა ჩამდგარიყო: მაგრამ უპატრონოდ მიტოვებული იქაურობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თოვლის მძლავრი საფარითაა დაფარული, აქციების ასივე პროცენტის მფლობელ „ყაზმუნაიგაზ-სერვისის“ მესვეურებს კი დღესდღეობით ვერავინ ვერაფერს მიუთითებს.

◉ ინფორმაცია თემაში

**ბორჯომის ხეობას წელიწადში (ზამთარშიც, ზაფხულშიც) დაახლოებით 60 ათასი კაცი სტუმრობს, რომელთაგან 10 ათასი უცხოელია. ისინი, ძირითადად, ხეობისა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დასათვალიერებლად ჩადიან, ხოლო სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმი, მხოლოდ მჟავე წყლის სმით შემოიფარგლება. სადღეისოდ კი, ერთადერთი ადგილი, სადაც ბორჯომის სტუმრებს ბალნეოლოგიური პროცედურების გავლა შეუძლიათ, სასტუმრო „ბორჯომის ხეობაა“.**

არადა ლიკანის სამკურნალო კომპლექსის დროულ ამოქმედებას მთლიანად ბორჯომის რაიონისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი, რომ ამ უმუშევრობით გათანგული მხარის მოსახლეობისთვის ნების-მიერ ახალი სამუშაო ადგილის შექმნა დიდი შვების მომტანია, ხოლო ლიკანში აღდგენით-სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებას არაერთი მუშახელი დასჭირდება. მეორე გარემოება ისაა, რომ ლიკანის ამოქმედებას იქაურობის გამოცოცხლებაც მოჰყვება, რასაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ზამთარში თუ ზაფხულში დამსვენებელთა მოზიდვის მხრივ. ხოლო მესამე და, ალბათ, ყველაზე ხაზგასასმელი გარემოება ის არის, რომ ლიკანის კომპლექსის აღორძინებაში დაბანდებული ინვესტიციები ადგილობრივი ბიუჯეტისთვის უდიდესი შემოსავლის წყარო იქნება.



გასათვალისწინებელია ისიც, რომ ლიკანის სამკურნალო-პროფილაქტიკური კომპლექსის დამსვენებელთა კვალიფიციური მომსახურებისთვის აუცილებელია სათანადოდ მომზადებული პერსონალი, რომელიც, ცხადია, ადგილობრივი კადრებით უნდა დაკომპლექტდეს, რისთვისაც მათი შესაბამისად მომზადებაა საჭირო. ამაზე კი, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არავინ ფიქრობს...

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ უმაღლეს დონეზე მიღწეული შეთანხმებით ყაზახურმა კომპანიებმა შესამჩნევი ადგილი დაიმკვიდრეს საქართველოს სასტუმრო და სამშენებლო ბიზნესში, თუმცა ბოლო დროს ქვეყნის უმაღლესმა ხელმძღვანელობამ მათი, კერძოდ კი ყაზახეთის ნავთობისა და გაზის ნაციონალური კომპანიის მოღვაწეობით უკმაყოფილება გამოთქვა. მისი შვილეული „ყაზმუნაიგაზ-სერვისის“ მოქმედება აშკარად აფერხებს ბორჯომის მხარეში ტურიზმის განვითარებას, რისი მიზეზიც განხორციელებული პროექტის დაუფინანსებლობაა. შედეგად, შპს „ბორჯომი-ლიკანის“ 240 თანამშრომელი უმუშევარი დარჩა, თან, ყველაფერთან ერთად, მათ არც დაპირებული კომპენსაცია გადაუხადეს — არც „ჩვენებმა“, არც, მით უმეტეს, „იმათ“.

ამასთან, „ყაზმუნაიგაზ-სერვისს“, უფრო სწორად კი, ალბათ, მის „დედობილ“ ყაზახეთის ნავთობისა და გაზის კომპანიას თუ არსად ეჩქარება, იქნებ ჩვენი გაჭირვებაც მოიკითხოს, მაგრამ როცა ჩვენ **(ალავერდი ეკონომიკის სამინისტროს ბიძიებთან!) უტვინოდ ვყიდით ჩვენს ქონებასაც და, პირდაპირ ვთქვათ, საკუთარი მოსახლეობის ინტერესებსაც, სხვას არც უნდა ველოდოთ?!**

ამასობაში კი ბორჯომის ეს უნიკალური ბალნეოლოგიური კურორტიც უფუნქციოდ ცდება, ყოფილი იქაური პერსონალიც უმუშევარია, არც ლიკანს ჰყავს დამსვენებელი, არც ადგილობრივი თუ უცხოელი სტუმარი აღარ ისწრაფვის აქ ჩამოსასვლელად...

ამრიგად, კიდევ ერთხელ უნდა ვთქვა, რომ თუ საკუთარი ინტერესები ისევ ჩვენ არ დავიცავით, ამას ჩვენს მაგივრად არავინ გააკეთებს.

**ოთარ ტურაბელიძე**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# გაყინული კონფლიქტის პარადიგმა შენარჩუნებულია(!)

**2008 წლის ოქტომბერში, საქართველოში რუსეთის ინტერვენციიდან ორი თვის შემდეგ, ჟენევაში დიპლომატიური პროცესი იმ სამშვიდობო შეთანხმებების რეალიზაციისთვის დაიწყო, რომელიც იმავე წლის 12 აგვისტოს და 8 სექტემბერს გაფორმდა. ორწელიწადნახევრის შემდეგ მოლაპარაკების მეთხუთმეტე რაუნდი ჟენევაში 4 მარტს კვლავ უშედეგოდ დასრულდა. პროცესში მონაწილეობენ რუსეთი, საქართველო, ევროკავშირი, შეერთებული შტატები, გაერო, ეუთო და ულიარებელი აფხაზეთის და სამხრეთი ოსეთის ხელისუფლებები.**

აქედან გაერო და ეუთო 2008 წელს აფხაზეთიდან და სამხრეთი ოსეთიდან რუსეთმა უმალ გამოისტუმრა და სრული დამცირებისთვის საქმე ისე წარმოაჩინა, თითქოს ამ წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების გაძევების ინიციატორები სოხუმისა და ცხინვალის მთავრობები იყვნენ. სამშვიდობო შეთანხმების მიღწევაში შუამავალი საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი იყო და ევროკავშირმა მის შესრულებაზე იკისრა პასუხისმგებლობა, თუმცა ბლოკს საკმარისი უნარი არ აღმოაჩნდა. ევროკავშირის მონიტორინგის მისია (EUMMძ საქართველოსთვის მყიფე უშიშროების ფარს უზრუნველყოფს იმ მტკიცე უშიშროების დეფიციტის ფონზე, რასაც აშშ და ნატო ადრე სამხრეთ კავკასიაში ავითარებდნენ. შესაბამისად რუსეთი, რომელსაც ადგილზე მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა ჰყავს განთავსებული, ხოლო მოლაპარაკებებში მის ხმას კიდევ ორი ხმა ემატება, დისფუნქციურ ჟენევის პროცესზე დომინირებს.

მოსკოვი ჟენევის პროცესის სტაგნაციით კმაყოფილია. მეთხუთმეტე რაუნდის შემდეგ მიღებულ კომუნიკეში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ საქართველო-აფხაზეთისა და საქართველო-სამხრეთი ოსეთის „საზღვრების“ (ანუ რუსული დისლოკაციის ხაზების) გასწვრივ სტაბილურობა კონსოლიდირებულია, სამოქალაქო ინციდენტების სიხშირე შემცირებულია, ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმები (IPRMძ, რაც დღეს რეგულარულად ხორციელდება, ხელს უწყობს მსგავსი სიტუაციების გადაწყვეტას.

როგორც ჩანს, ამ შეფასებას უმთავრესად ჟენევის პროცესში ევროკავშირის მთავარი წარმომადგენელი, ფრანგი დიპლომატი პიერ მორელი იზიარებს. მორელი კმაყოფილია, რომ უშიშროებასთან დაკავშირებული სიტუაცია „შედარებით მშვიდია“ და ჟენევის ბოლო რაუნდი „ძალიან პოზიტიური“ იყო. პარიზი და, სავარაუდოდ, ბრიუსელიც ჟენევის პროცესს აფასებენ როგორც ერთადერთ სივრცეს, სადაც საქართველოს მთავრობას და აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ხელისუფლებებს შეხვედრა და პირდაპირი მოლაპარაკების გამართვა შეუძლიათ..

მოსკოვი, პარიზი და ბრიუსელი ამ მეტნაკლებად საერთო მაჩვენებელზე თანხმდებიან. თითოეული მათგანი, საკუთარი ინტერესების შესაბამისად ხაზს უსვამს პროცესს საკუთარი გადმოსახედიდან და სტაბილურობას წარმატების საზომად წარმოაჩენს. ამ ფონის მიღმა, რუსეთი სამხრეთ კავკასიაში საკუთარი სტრატეგიული მიღწევების კონსოლიდაციას ახდენს, მაშინ როდესაც ევროკავშირი ცდილობს თავი აარიდოს ისეთ პრობლემას, როგორიცაა რუსეთის მხრიდან სამშვიდობო შეთანხმების დარღვევა.

ვაშინგტონი ცდილობს იგივე პრობლემების დაბალანსებას, თუმცაღა უფრო შეზღუდული რესურსებით, რომელიც მას სამხრეთ კავკასიაში აქვს. აშშ მხარს უჭერს ჟენევის პროცესის დღის წესრიგში საქართველოს შემდეგ მიზნებს: დემილიტარიზაციას, ძალის გამოუყენებლობას და დევნილების დაბრუნებას.



კონფლიქტი არსებულ კონდიციაში 1992-2008 წლების „გაყინული კონფლიქტების“ თავისებურებებს ასახავს, თუმცა მთელი რიგი გაუარესებული სხვაობებით, რომელთა უმრავლესობაც თავისი არსით საერთაშორისო წესრიგზე სერიოზულ გავლენას ახდენს.

რუსეთი უარს ამბობს საქართველოს მთავრობასთან ორმხრივ შეთანხმებაზე (მოსკოვი თბილისთან მრავალმხრივი ჟენევის პროცესის საშუალებით კონტაქტობსძ. მოსკოვის პოლიტიკას ორი პარალელური ხაზი გასდევს: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ღიად ულიარებლობა და საქართველოს კანონიერი მთავრობის ირიბი ულიარებლობა. ასეთი პოლიტიკით რუსეთმა ამ გახანგრძლივებული კონფლიქტის გადაწყვეტა იმაზე მეტად „გაყინა“, ვიდრე ოდესმე.

The JAMESTOWN FOUNDATION

## დედამიწის ზურგზე



**ოთხი თვის იაპონელი გოგონა გადარჩა – ის სახლის ნანგრევებში სამი დღის განმავლობაში იყო**

როდესაც პატარა ნახეს, უმალვე საავადმყოფოში გაგზავნეს, თუმცა მისი მდგომარეობა განსაკუთრებულ საფრთხეს არ იწვევდა. შემდეგ გოგონა მამას გადასცეს, რომელიც უკვე აღარ ელოდებოდა მის ხილვას.

* * *

**იაპონიის ატომურ ელექტროსადგურზე ახალი აფეთქებების შემდეგ რადიაციის დონემ მკვეთრად აიწია**

აფეთქებები მოხდა მეორე და მეოთხე რეაქტორებში. შესაძლებელია რადიაციის გადინება, მეორე ენერგობლოკში დაზიანდა რეაქტორის კონტეინერი. მესამე ენერგობლოკის რაიონში დაფიქსირდა გამოსხივების ნორმალური წლიური დოზის 400-გზის გადიდება. ტოკიოში პანიკაა. მორგებში ადგილი აღარ არის, საავადმყოფოებში წამალი გათავდა.



* * *

**ხმელთაშუა ზღვაში ჩაიძირა ნავი ტუნისელი მიგრანტებით**

ნავი, რომელშიც 40 მიგრანტი იყო, გადაბრუნდა ტუნისის ნავსადგურ ჯიჯიდან გასვლის შემდეგ. მახლობლად მიმავალმა ხომალდმა შეძლო გადაერჩინა მხოლოდ ხუთი მგზავრი. მიგრანტებმა, რომელთა რიცხვმაც უკვე 6 ათასს გადააჭარბა, დაიწყეს კუნძულისკენ წამოსვლა თებერვალში რეგიონის ზოგიერთ ქვეყანაში მომხდარი გადატრიალებების შემდეგ.



* * *

**ინდოელმა სამხედროებმა შტურმით გამოგლიჯეს ხელიდან მეკობრეებს ესპანური ხომალდი: არის მსხვერპლი მეთევზეთა შორის**

ცნობილია, რომ „ვეგა-5“-ის ეკიპაჟის 24 წევრიდან მხოლოდ ცამეტია ცოცხალი და ჯანსაღი, დანარჩენების ბედი უცნობია. ამას გარდა დააპატიმრეს 61 საზღვაო ბანდიტი. „ვეგა-5“ არაერთგზის ყოფილა შენიშნული, რომელსაც მეკობრეები იყენებდნენ, როგორც საბაზო გემს. ამჯერად ყაჩაღები მისი დახმარებით ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ და დაეტყვევებინათ ერთ-ერთი სავაჭრო ხომალდი.



# საქართველოს ოპოზიცია „რევოლუციისთვის“ ემზადება, მაგრამ არის კი სწორად შერჩეული მომენტი?

**როგორც ჩანს, საქართველო რევოლუციების იმ ტალღაზე იწყებს რეაგირებას, რომელმაც არაბულ სამყაროს გადაუარა. საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ეგვიპტეში პოსტრევოლუციური გარდაქმნის გამოცდილების გასაზიარებლად ჩავიდა, რადგან ჰოსნი მუბარაქის ხელისუფლებიდან წასვლა იმის ანალოგად აღიქმება, რაც 2003 წელს საქართველოში მოხდა, როდესაც შევარდნაძემ ხელისუფლება დატოვა**

მაგრამ საქართველოს რადიკალური ოპოზიციის თვალში დიქტატორი მუბარაქი უფრო დიქტატორ მიხეილ სააკაშვილს წააგავს, ხოლო ეგვიპტის „ლოტოსის რევოლუცია“ საქართველოს მომავალი (თუმცა ჯერ კიდევ უსახელო რევოლუციისძ პრელუდიაა.



ამ მომავალ რევოლუციას ორმა ოპოზიციურმა ლიდერმა უკვე გაუკეთა რეკლამა: პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ და ბიზნესმენმა ლევან გაჩეჩილაძემ.

მათ ცვლილებებისთვის ვადაც კი დათქვეს. გაჩეჩილაძემ პირობა დადო, რომ ზაფხულისთვის სააკაშვილისგან ყველანი „მშვიდად დაისვენებენ“.

ორივე, გაჩეჩილაძეც და ბურჯანაძეც, 2009 წლის გაზაფხულის დემონსტრაციების ვეტერანია. ისინი მაშინაც პირობას სდებდნენ, რომ პრეზიდენტს საზოგადოების რისხვა გაანადგურებდა.

### სიტყვა, რომელიც უკვე აღარ არის აკრძალული, მაშ რა არის ახლა ახალი?

პირველი დემოკრატიის ტალღა, რომელმაც არაბულ სამყაროს გადაუარა, გააცოცხლა სიტყვა „რევოლუცია“, რომლის წარმოთქმასაც ოპოზიციის ლიდერები ორი წლის წინათ ერიდებოდნენ. მათ ლექსიკონში გაჩნდა კიდევ ერთი სიტყვა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ ტაბუდადებული იყო – „სისხლი“.

გაჩეჩილაძის თქმით, დიდებული იქნებოდა, თუ მთავრობა ძალადობის გამოუყენებლად წავიდოდა, თუმცა ის ნებისმიერ შემთხვევაში უნდა წავიდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ოპოზიცია არ გამორიცხავს სისხლისღვრას, ოღონდ არ აყოვნებს და პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს.

მაგრამ დღევანდელი სიტუაცია ორი წლის წინათ შექმნილი ვითარებისგან მხოლოდ ამით არ განსხვავდება. 2009 წელს ოპოზიციის ლიდერების უმეტესობამ შეძლო განზე გადაედო მათი უთანხმოებები, მაგრამ მას შემდეგ ისინი წაკინკლავდნენ, რეალურად ბურჯანაძე და გაჩეჩილაძე ერთმანეთს არც კი ელაპარაკებიან.

მიმდინარე წლის დასაწყისში, მტკიცედ ოპოზიციურმა გაზეთმა „ასავალ-დასავალმა“. სენსაციური ამბავი გამოაქვეყნა. წერილი უზრუნდებოდა 2008 წლის იანვარს და იმ საპრეზიდენტო არჩევნებს, რომელიც ბევრი ადამიანის რწმენით გაყალბებულია. მაშინ, აცხადებდა გაზეთი, ხალხი მზად იყო ე.წ. უზურპატორის ინაუგურაციის დღეს ძალაუფლება ხელში ჩაეგდო.

შემდეგ კი ამბავი გრძელდება – ოპოზიციის ლიდერი გაჩეჩილაძე გაიყიდა ორიოდე მილიონ ლარზე და ხალხს ცერემონიაში ჩარევის საშუალება არ მისცა. ამ მამხილებელი ინფორმაციის წყარო აღმოჩნდა ბურჯანაძე, რომელიც იმ დროს სააკაშვილის მოკავშირე იყო და შეთქმულების შესახებ შეიტყო. გაჩეჩილაძემ და მისმა „ქართულმა პარტიამ“ განაცხადეს, რომ ამბავი ფალსიფიკაციაა, მაგრამ ეს ორი ერთმანეთს დღემდე არ ელაპარაკება.

### ძალადობის უარყოფა

ოპოზიციის სხვა ნაწილი კატეგორიულად უარყოფს რადიკალების ძალადობრივ რევოლუციურ სტრატეგიას. ისინი არჩევნებზე არიან ფოკუსირებულები და მთავრობასთან აქტიურად აწყობენ მოლაპარაკებს იმაზე, თუ როგორ შეცვალონ საარჩევნო სისტემა.

მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი ალასანია და პარტიები რომლებიც მისი მოკავშირეები იყვნენ, უხალისოდ, მაგრამ მაინც შეუერთდნენ რადიკალების აქციებს, ახლა მისი პოზიცია უფრო ცხადია. „მე წავალ ყველას წინააღმდეგ, ვინც რევოლუციის გზას აირჩევს“, – განაცხადა მან.

მაშ რისი იმედი აქვს დღეს რადიკალურ ოპოზიციას? მთავარი, რაღა თქმა უნდა, საზოგადოების უკმაყოფილებაა.

ინფლაციის პიკი ბოლოდროინდელი არაბული გამოსვლების ერთ-ერთ მიზეზად განიხილება. საქართველოში ინფლაცია სულ რამდენიმე პროცენტით უფრო მაღალია, ვიდრე მეზობელ ქვეყნებში.

გარდა ამისა, ოპოზიციური აქტივისტები მინიავტობუსების იმ მძღოლების გაფიცვამაც შეაგულიანა, რომლებიც თბილისის ადმინისტრაციის მიერ სატრანსპორტო კომპანიებისთვის მოწყობილი ტენდერით იყვნენ უკმაყოფილოები. გაფიცვა უკვე შეწყდა, მაგრამ ოპოზიციის ლიდერებს იმედი აქვთ, რომ როდესაც ისინი ვადას დათქვამენ, მძღოლები მათ შეუერთდებიან.

იგივე ითქმის აფხაზეთის ომის ვეტერანებზე, რომელთა საპროტესტო გამოსვლა მთავრობამ იანვარში დაშალა და აფხაზეთიდან დევნილ პირებზეც, რომლებიც ამას წინათ გამოასახლეს მათ მიერ უკანონოდ დაკავებული ბინებიდან.

### უფრო მაღალი პენსიები, სოციალური სიმშვიდე?

როგორც ჩანს, მთავრობაც სახიფათოდ მიიჩნევს ინფლაციის გამო მზარდ უკმაყოფილებას და იმას, რომ ოპოზიცია ამ უკმაყოფილებას იყენებს. პრეზიდენტის 7 მარტის განცხადება სექტემბრიდან პენსიების მომატების შესახებ ამის არაპირდაპირი დასტურია. ეს პოლიტიკა მთავრობის „ქამრების შემოჭერის“ სტრატეგიის საპირისპიროა და ინფლაციის კონტროლის პროცესს ვერაფრით დაეხმარება, მაგრამ პოლიტიკური ქვეტექსტი საკმაოდ ცხადად გამოჩნდა.

და როგორია ახალი და ამჯერად უკვე წარმატებული რევოლუციური ტალღის ალბათობა? დაველოდოთ და ვნახოთ, მაგრამ ახლა რევოლუციური ოპოზიციის სასტარტო პოზიციები კიდევ უფრო სუსტიც კია, ვიდრე ეს 2009 წელს იყო.

RadioFreeEurope RadioLiberty

უკანონობის ზეიმი

# კორუფცია აღმოფხვრილია – სახელისუფლებო ელიტა სასახლეებს იშენებს

**შევარდნაძის ხელისუფლებაში იუსტიციის მინისტრად ყოფნის დროს სააკაშვილი შეეცადა პრინციპული კაცის იმიჯი შეექმნა და სამთავრობო სხდომაზე უმაღლეს ეშელონებში მყოფთა სასახლეების ფოტოები ააფრიალა. მაშინ მიშა იუსტიციის მინისტრი იყო და დიდძალ ინფორმაციას ფლობდა. იგი აღჭურვილი იყო ხელშეუხებლობის გარანტიებითაც. ერთადერთი, სადაც წინააღმდეგობას წააწყდა, ეს მცხეთის სატყეო მეურნეობის უფროსის მეფარიძის სახლი იყო – მას ძაღლები მიუსიეს. ცუდად დაუმახსოვრა სააკაშვილმა მეფარიძეებს მომხდარი. ჯერ მამა დააკავეს, მერე – შვილი, მომღერალი აჩი მეფარიძე.**

გაპრეზიდენტების შემდეგ პირდაპირ განაცხადა თავისი სახელისუფლებო გუნდის შესახებ – ნახე, ვის რა ქონება აქვს და ერთი წლის შემდეგ თუ რამე მატებისაკენ შეიცვლება, განაცხადეთ და ის პიროვნება თა-



ნამდებობაზე აღარ იქნება. ადვილი შესაძლებელია უფრო მკაცრი ზომებიც გავატაროთო.

ეს იყო 2004 წელს. მას შემდეგ ბევრი რამე შეიცვალა. მისი თანაგუნდელები, საახლობლო წრე ღრმად ჩაეფლო კორუფციაში. პრეზიდენტი ამას ვითომ ვერ ამჩნევს და ოპოზიციას აკრიტიკებს – დამისახელეთ ერთი ფაქტი და მე მივხედავო. უნიათო ოპოზიცია კი დუმს.

სამაგიეროდ არასამთავრობოებმა გამოიღეს ხელი. მოძრაობა „არას" წარმომადგენლებმა უმაღლესი ეშელონების იმ პირთა მშენებარე სრასახლების ვიდეოკამერებზე დაფიქსირება შესძლო, რომელთაც დაცვა იცავს.

„არამ" ჩინოვნიკების უძრავი ქონების შეფასების ცნობა საჯარო რეესტრიდან მოითხოვა, მაგრამ უარი მიიღო. ყველაფერი გასაიდუმლოებული ყოფილა, რაც მათ მიერვე მიღებული კანონის უხეში დარღვევაა. მიუხედავად ხელოვნურად შექმნილი დაბრკოლებებისა, არასამთავრობოებმა მაინც მოახერხა ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირის მშენებარე თუ აშენებული ვილების დაფიქსირება კიკეთში, კოჯორში, ცხვარიჭამიაში და სხვაგან.

ძმები ბეჟუაშვილების სასახლეები კოჯორში უკანონოდ არის დიდ ფართობზე შეჭრილი ტყეში. მწვანე ნარგავებში ჩაფლული ვილები მარმარილოთია მოპირკეთებული. დაცვამ გადამღებებს შენობების გადაღების საშუალება არ მისცა. მაშინ ახალგაზრდები ტყე-ტყე აუყვნენ ნაკვეთს და მაინც მოახერხეს მათთვის სასურველი კადრების გადაღება. დაცვამ ისინი შეამჩნია. ოპერატორებს წაართვეს ტექნიკა, გადაღებული კასე-



ტები. ბოლოს ყველაფერი მას შემდეგ დააბრუნეს, როდესაც დარწმუნდნენ, რომ, „არას" წევრები მართლა შორდებოდნენ იქაურობას, ნაწილი გადაღებულისა გაანადგურეს.

ბეჟუაშვილებს შედარებით მომცრო სასახლე ყაზბეგის გამზირზეც აქვთ.

კახა ბენდუქიძის ფეშენებელური სასახლე დიღომი– 8-ში სიხარულის ქუჩა 3-შია. „არამ" მოახერხა მისი გადაღება. ოპერატორები დაცვამ შეამჩნია და მთელი გადაღებული მასალა გაუნადგურა. ახალგაზრდების შეკამათებას, რომ ჩინოვნიკების უძრავი ქონების გადაღება ნებადართულია, შედეგი არ მოჰყოლია.

თბილისის ზღვასთან, მიწის უზარმაზარ ფართობზე იშენებს სრასახლს თავდაცვის ყოფილი მინისტრი კეზერაშვილი. ყოფილ მინისტრს დაცვაც კი არ ჭირდება, ისე ჰყავს გაწვრთნილი მუშები. ვიდეოკამერის დანახვისთანავე ისინი გარეთ გამოვარდნენ და ოპერატორებს ეცნენ. ამ დროს არასამთავრობოებიდან ერთ-ერთმა შემთხვევით მის გვერდში მდგომ ხელოსანს ჰკითხა – ეს კეზერაშვილის სახლიაო?, მანაც, კიო, უპასუხა. ამის გამო 3-4 მუშამ ეს ხელოსანი სადგომში შეიყვანა და სასტიკად სცემა – ენას რას ატარტარებო. მშენებარე ობიექტის გადაღება ვერ მოხერხდა.

კეზერაშვილთან ახლოს აქვს ჯერ კიდევ დაუმთავრებელი სასახლეები ძმებ კოდუებს. გასაგებია, რომ ნაგებობის გადასაღებად ოპერატორები ვერც ერთი მხრიდან ვერ მიუდგებოდნენ, რადგანაც ძმების დაცვა უკვე ელოდა არასამთავროებს.

აღსანიშნავია, რომ ეს ადგილი ჯერ კიდევ აუთვისებელია. ქუჩაც კი არ არის. ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე მშენებარე ობიექტია. ეტყობა სახელისუფლებო ელიტა აწი აპირებს იქ ფეხის მოკიდებას.

როდესაც კეზერაშვილისა და კოდუების სახლების გადაღების მცდელობას ოპერატორებისათვის ამხელა უსიამოვნება მოჰყვა, ცხადია, რომ ისინი პირველი ლედის, სანდრა რულოვსის ვილის გადაღებასაც ვერ შესძლებდნენ. ტელეკამერიანი ხალხის გამოჩენისთანავე გამოიშალა დაცვა, დაახლოებით 20 კაცამდე. ოპერატორებს ყველაფერი წაართვეს. გაუნადგურეს გადაღებული და მოსულთ იქაურობის სასწრაფოდ დატოვება უბრძანეს. თან გააფრთხილეს, ერთი კადრიც კი რომ გამოჩნდეს სადმე, პერიმეტრის უკანონოდ გადმოკვეთად ჩაგითვლით და დაგაპატიმრებთო. არასამთავრობოების წარმომადგენლები კანონს იშველიებდნენ, რომ მათ გადაღების უფლება ჰქონდათ. კანონის ხსენებაზე დაცვამ სიცილი დაიწყო.

„არას" მისვლის მომენტში რულოვსის სასახლესთან მხოლოდ 2 ჯიპი იდგა. ეტყობა სახლში მარტო პირველი ლედი იყო. მისი მეუღლეც რომ იქ ყოფილიყო, მის, დაახლოებით 50-კაციან დაცვას არასამთავრობოების წარმომადგენლები ნამდვილად ვერ გადაურჩებოდნენ..

„იმედის" მფლობელად გასაღებულ გიორგი არველაძეს კიკეთში სახლი კი არა, სასახლეები აქვს. მათი დაფიქსირება ოპერატორებმა მოახერხეს. მოხერხდა გიგი უგულავას მეუღლის სასახლის გადაღებაც ცხვარიჭამიაში. იქვე რამდენიმე მშენებარე ობიექტიცაა. მათი მფლობელების ვინაობის გარკვევა ვერ მოხერხდა.



ვაპირებთ ფოტოების გადაღების გაგრძელებას და შეგროვებას, – აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია „არას" ლიდერი ლევან ჩიტაძე და იქვე აგრძელებს, – ჩვენ ამ ფოტოებს გამოვფენთ ფერად და შავთეთრ ნაწილებად. ფერადად იქნება ჩინოვნიკების ქონება, შავ-თეთრი კი უსახლკაროებისა, რომლებიც ქუჩებში, სადარბაზოებში, მიტოვებულ და დანგრეულ სახლებში, მუყაოს ყუთებისაგან აშენებულში ცხოვრობენ.

რა შედეგი მოჰყვება ამას? მართვადი ტელევიზიები მასალას არ მიიღებენ. ქუჩაში გამოკრულს „ნაციონალების" აქტივისტები, კოორდინატორები ჩამოხევენ. რჩება ერთადერთი – პრესა. ვის მიაკითხავს „არა"?

**ზაზა ბილიხოძე**

ცხოვრება კაცისა

# შოთა

**შოთა ერთ-ერთია იმ პრინციპულ თუ ჯიუტ რაჭველ კაცთაგან, რომელსაც თავისი სოფელი ზამთარშიც არ მიუტოვებია, შოთასნაირები იმ მაღალმთიან სოფელში ხუთიოდე კაცი თუ იქნება. მათი სახლების ბუხრებიდან ზამთარშიც ამოდის კვამლი და ყველას უმტკიცებს, რომ სოფელი ჯერ კიდევ ცოცხლობს.**

ადვილი არ არის მაღალმთიანი სოფლის მკაცრ პირობებში იქ ცხოვრება.

შოთა შრომის დროს რომ მოხვედრილიყო თქვენი მხედველობის არეალში, გაოცდებოდით და შენატრებდით ხნავდა თუ თოხნიდა, თიბავდა თუ შეშას ამზადებდა, რაჭველი კაცისათვის შეუფერებელი სისწრაფით, ენერგიულად და მიზანდასახულად მუშაობდა. თავისი ბიძაშვილი, დაწყებითი სკოლის მოსწავლე წაეყვანა ერთხელ ალპური საძოვრებიდან (საწილიკედანძ თივის ჩამოტანაში მოსახმარებლად. დაურიგებია ბავშვი, დატვირთულ ურემს წინ გამოუძეხი, ფრთხილად ატარე ხარები, მე კი ურემს მხრებით შევუდგები, რომ ჩახრამულ გზებზე არ გადაბრუნდესო. შემდეგ ბავშვი ყვებოდა: თივა ისეთი ციცაბო ფერდობიდან ამოიტანა, იმ ფერდობზე ვერც კი დავდგებოდი; თვითონაც მაფრთხილებდა აქ არ ჩამოხვიდე, მანდ მიხედე ხარებსო. ძალიან ბევრი თივა დაუდო, მაღალი ურემი გამოვიდა, შიშს ვყავდი აყვანილი, როცა ურემი დამრეც გზაზე მიმყავდა, როგორ უნდა დავხმარებოდი, ურემი რომ გადაბრუნებულიყო და ქვეშ მოეყოლა? მე მაგას აღარ წავყვები მოსახმარებლადო.

მაგრამ ეს იყო ძველად. მაშინ შოთას დიდი მეურნეობა ჰქონდა და დიდ ოჯახს ინახავდა, რიცეულჰესშიც ახერხებდა მუშაობას. მისი ორი შვილი 7 კმ-ით დაშორებულ მეზობელი სოფლის სკოლაში დადიოდა სასწავლებლად და როგორც შემდეგ გამოირკვა, არავიზე ნაკლები განათლება მათ არ მიუღიათ. ეგ არის მხოლოდ, რომ მისი შვილებიც ქალაქში დასაქმდნენ და ქალაქშივე დასახლდნენ.

დღეს 80 წელს გადაცილებული შოთა ზამთრობით საწოლს არის „მიჯაჭვული", მუხლებმა უმტყუნა. ზაფხულობით ყავარჯნებით თუ გამოდის სახლიდან. საუბარიც ხაზგასმულად რაჭული იცის, დინჯი, თითქოს ყველა სიტყვას სწონისო.

– არ უნდა ამ ხელისუფლებას მთის სოფელი... სოფლის მეურნეობის მინისტრმა გურიაში თუ სამეგრელოში ჩაის ბუჩქები ამოძირკვა და გამოთავისუფლებულ ნიადაგში მოცვის ნამყენები ჩარგო... შე დალოცვილო გურიაში ან სამეგრელოში თუ რაიმე მიწის ნაკვეთი გამოთავისუფლდა, იქ დათესე სიმინდი, ხოლო მოცვს და ამნაირს რამდენსაც გინდა იმდენს დაგიმზადებენ ჩვენს ტყეებში... ხომ გაქვთ ხორცის სახელმწიფო შესყიდვა, აქ მთის სოფლებში მოაწყვე ასეთი შესყიდვა საბაზრო ფასებში, თუნდაც პერიოდულობით და დაინახავ ორ-სამ წელიწადში სოფლებში ჩამოვა ის მოქალაქენი, რომლებიც დღეს ქალაქში დახლებში დგანან ან უმუშევართა არმიას ავსებენ. სოფელი რომ დაიბრუნებს თუნდაც უმნიშვნელო მუშახელს, ხელისუფლების დახმარება აღარც დასჭირდება... რაიმე დიდ მოთხოვნებს ვაყენებთ? მაგრამ არ უნდათ სოფელი და რა გინდა რომ ქნა?

ხმაში ნაღველი აქვს შეპარული. ხვდება რომ რაღაც მნიშვნელოვანი წააგო, რაღაც ვერ გათვალა, მაგრამ სად შეცდა, არ იცის. ან იქნებ იცის და არ ამბობს. წააგო იმაში, რომ როცა აღარ იქნება, მის კერიას ჩაქრობა არ ასცდება. იქნებ შვილიშვილების იმედი უნდა ჰქონდეს? შვილიშვილებს დღეს დასავლეთ ევროპის ენებს და კომპიუტერს ასწავლიან, ევროპაში სხვათა მოსამსახურებლად რომ წავლენ, კონკურენტუნარიანები უნდა იყვნენ. ევროპიდან აქ ოჯახებს და ნათესავებს დოლარებს თუ გამოუგზავნიან, ამით შეფასდება მათი მამულიშვილობა.

შოთა ხვდება, რომ თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება ის საშინელება გამეორდეს, რასაც მამამისი და ბაბუამისი თავის დროზე უყვებოდნენ, მაგრამ რა ქნას, როცა არ არსებობს კაცი ან სტრუქტურა, რომელიც პასუხისმგებელია მოვლენების ასეთ განვითარებაზე.

არადა, „გამოუსწორებელი ოპტიმისტების" ქვეყანაში შოთა ვერაფერს ამბობს ოპტიმისტურს.

**ნუგზარ კოზახიძე.**

**P. S. რედაქციისაგან მომავალს შოთას თანასოფლელი შემხვდა – შოთა გარდაცვლილა.**

**ნ. კ.**

წარდგინება

# „მილენიუმმა" და „საქსტატმა" თანამშრომლობის შედეგები შეაჯამეს

**გუშინ სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში" ათასწლეულის ფონდმა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა სამწლიანი ერთობლივი მუშაობის შედეგები შეაჯამეს. საქსტატი დღესაც კი იწვევს საზოგადოების აზრის სხვადასხვაობას ობიექტურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, მაგრამ ბევრად უარესი მდგომარეობა იყო მაშინ, როცა ის ეკონომიკის განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში შედიოდა.**

პირდაპირ ემორჩილებოდა ეკონომიკისა თუ ფინანსთა მინისტრებს და მონაცემებსაც მათი სურვილების მიხედვით აქვეყნებდა. ამის გამო არაერთხელ გამოუთქვამთ სერიოზული პრეტენზიები ეკონომისტებს. საბოლოოდ, საერთაშორისო ორგანიზაციების ზემოქმედების შედეგად, სტატისტიკის დეპარტამენტი ეკონომიკის სამინისტროს გამოეყო და სტატისტიკის ეროვნულ სამსახურად ჩამოყალიბდა. ნდობის ასპროცენტიანი ხარისხით ვერც ახლა დაიკვეხნის, თუმცა შედარება არ არის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მხრივ, ციფრებიც რეალობასთან იმაზე ახლოს დგას, ვიდრე ეს იყო რამდენიმე წლის წინათ.

„საქსტატის" მომსახურების გაუმჯობესებაში დიდი წვლილი მიუძღვის „ფონდ – ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს", რომელმაც მას 2008 წელს 2 მილიონ 250 ათას დოლარამდე თანხა გამოუყო.

როგორც „საქსტატის" აღმასრულებელი დირექტორი ზაზა ჭელიძე ამბობს „ფონდის მხრიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტექნიკური დახმარება, რომელიც მოხმარდა საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებას, პერსონალის ტრენინგებს, „საქსტატს" ფონდმა საჩუქრად გადასცა კომპიუტერული ტექნიკა და ძსელური მოწყობილობები, რაც მთავარია, თანხის დიდი რაოდენობა მოხმარდა საერთაშორისო ფასთა შედარების პროგრამაში (IGPძ გასაერთიანებლად მომზადებულ სამუშაოებს".

საქართველოს სტატისტიკის სამსახურს ინფორმაციის მიწოდების ხარისხსა და ოპერატიულობასთან დაკავშირებით არ საყვედურობენ უცხოელი პარტნიორები. ამ მხრივ ის ერთ-ერთი საუკეთესოა ყოფილ საბჭოთა სივრცეში.

შეხვედრას დაესწრო ამერიკის ელჩი საქართველოში ჯონ ბასი. „ათასწლეულის განვითარების პროგრამასა და „საქსტატს" შორის თანამშრომლობა ნაწილია აშშ-სა და საქართველოს ურთიერთობისა. მიხარია, რომ პროგრამა წარმატებით განხორციელდა, ჩვენს დახმარებას ტექნიკური ხელშეწყობის ფუნქცია ჰქონდა. „საქსტატს" ნამდვილად შეუძლია ობიექტური ინფორმაციის მოძიება და საზოგადოებისთვის მიწოდება, რაც თავის მხრივ გავლენას მოახდენს კარგი პოლიტიკის შემუშავებაზე". ჯონ ბასმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქვეყნის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ და სოციალურ მონაცემებს.

თუმცა, ნდობის ხარისხის მხრივ, „საქსტატი" ჯერ კიდევ ვერ ინარჩუნებს ობიექტურობის იარლიყს. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა თუნდაც ბოლო პერიოდში, როცა ის ინფლაციის, მართალია, ორნიშნა, მაგრამ მაინც დაბალ მაჩვენებელს აღნიშნავს ( 10- 12 პროცენტისძ, ხოლო რეალობა გაცილებით მაღალ ციფრებზე მეტყველებს (არაოფიციალური სტატისტიკით 20 პროცენტზეც კიძ...

**ნია ფიფია**

◎ ფეხბურთი





# მათი რჩეულნი

**ათიოდე დღეც და ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება „ევრო-2012“-ის უმნიშვნელოვანესი შესარჩევი მატჩი: საქართველო-ხორვატეთი.**

**მეტოქეთა თავკაცებმა თემურ ქეცბაიამ და სლავენ ბილიჩმა არჩევანი შემდეგ მოთამაშეებზე შეაჩერეს.**

საქართველო

**მეკარეები** — ლორია, რევიშვილი, კვასხვაძე.

**მცველები** — სალუქვაძე, ხუბუტია, კალაძე, კვირკველია, კაშია, ალადაშვილი, ამისულაშვილი, ხიზანიშვილი.

**ნახევარმცველები** — გოგუა, დაუშვილი, კანკავა, ანანიძე, კობიაშვილი, გურული.

**თავდამსხმელები** — დვალიშვილი, იაშვილი, სირაძე, მარცვალაძე, ვაწაძე.

ხორვატეთი

**მეკარეები** — რუნიე, პლეტიკოშა, სუბაშიჩი.

**მცველები** — ჩორლუკა, შიმუნიჩი, პრანიჩი, სტრინიჩი, შინდენფელდი, ლოვრენი, ვრსალკო.

**ნახევარმცველები** — სინა, მოდრიჩი, კრანჩარი, რაკიტიჩი, ვუკოევიჩი, დუიმოვიჩი, ილიჩევიჩი, პერიშიჩი, ბადელი.

**თავდამსხმელები** — პეტრიჩი, ედუარდო, იელავიჩი.

ალბათ, მიაქცევდით ყურადღებას, რომ მომავალ დუელს ოპტიმალური შემადგენლობებით ხვდებიან, თუმცა თითო დანაკლისს მაინც ვერ ასცდნენ. ესაა მასპინძელთა დაცვის ბურჯი ასათიანი, რომელიც უკლუბოდაა და სათამაშო პრაქტიკა აკლია და ბალკანელთა ტრავმირებული სნაიპერი ოლიჩი, რომელსაც უკვე ნახევარი სეზონი გაუცდა.

**გიორგი შოთაძე**

◎ რაგბი

# მეთოთხმეტე ადგილზე გადაინაცვლეს



**საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა ვაკეში რუმინელთა დამარცხებით არა მარტო ანტიმოზ ივერიელისა და ევროპის ერთა თასები მოიპოვა, არამედ რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRBძ მსოფლიო რეიტინგში მონაგარი 0,337 ქულით გაიმდიდრა, რამაც „ბორჯღალოსნებს“ მე-14 ადგილზე გადანაცვლების საშუალება მისცა.** საქართველოს ნაკრები კანადელებს 0,22 ქულით უსწრებს, ხოლო მე-13 ადგილზე მყოფ იაპონიას 2,04 ქულით ჩამორჩება. 19 მარტს სოჭში რუსეთის ნაკრების დამარცხებით ამ სხვაობას საგრძნობლად შეამცირებს.

**დღეისათვის IRB-ის მსოფლიო რეიტინგით ასეთი მდგომარეობაა:** 1. ახალი ზელანდია (93,19ძ, 2. ავსტრალია (87,45ძ, 3. სამხრეთ აფრიკა (86,44ძ, 4. ინგლისი (83,98ძ, 5. საფრანგეთი (81,10ძ, 6. ირლანდია (81,02ძ, 7. უელსი (80,51ძ, 8. არგენტინა (87,97ძ, 9. შოტლანდია (76,96ძ, 10. ფიჯი (74,05ძ, 11. სამოა (73,02ძ, 12. იტალია (73,93ძ, 13. იაპონია (71,45ძ, 14. საქართველო (69,41ძ, კანადა (69,19ძ.

**გივი გაგუა**

◎ ჭადრაკი



# ვაჟებს ქალებიც გაეჯიბრებიან

**საქართველოს 2009 წლის ჩემპიონი დიდოსტატი თორნიკე სანიკიძე მონდომებით ემზადება ვაჟ მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელსაც 22 მარტიდან საფრანგეთი უმასპინძლებს. ჩვენებური ამჟამად სამფეროვანთა ქვეყანაში იმყოფება და იქაურ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობს.** ნანსში მან 9 შესაძლებლიდან 6 ქულით სწრაფ ჭადრაკში მე-19 ადგილი დაიკავა. ევროპის ჩემპიონატში თორნიკესთან ერთად იასპარეზებენ კონტინენტის პირველობების შარშანდელი ვერცხლისა და შარშანწინდელი ბრინჯაოს პრიზიორი ბაადურ ჯობავა, საქართველოს 2011 წლის ჩემპიონი დავით ზარქუა, პრიზიორები — ლევან ფანცულაია და ლუკა პაიჭაძე, ასევე, დავით ბენიძე, დავით ლობჟანიძე, ლელა ჯავახიშვილი და სალომე მელია. საგულისხმოა, რომ საფრანგეთში ვაჟებს ქალებიც გაეჯიბრებიან უნგრელი იუდით პოლგარის მეთაურობით.

**ლექსო ცინცაძე**

◎ წყალბურთი



# ლიდერებმა პოზიცია განიმტკიცეს

**საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკის“ აუზში საქართველოს წყალბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის მე-2 ტურის შეხვედრები გაიმართა.** შარშანდელმა ჩემპიონმა „თბილისმა“ „ივერიას“ მოუგო 16:6, ხოლო „ლიგამუსმა“ „ზვიგენებს“ აჯობა 22:1. ორი ტურის შემდეგ 4-4 ქულით პირველ-მეორე ადგილებს „თბილისი“ და „ლიგამუსი“ იყოფენ.

◎ კარატე

# მედლები ისრაელიდან



**ეილათმა (ისრაელიძ არაოლიმპიური სპორტის სახეობებში IV საერთაშორისო თამაშებს უმასპინძლა. 22 სახეობაში 10 ქვეყნის ათასზე მეტი ათლეტი ცდიდა ძალებს. საქართველო შეჯიბრებაზე 5 კარატისტით წარსდგა.** საბრძოლო სახეობათა კონფედერაციის პრეზიდენტის კახა ბასილიას ხელმძღვანელობით ჩვენმა სპორტსმენებმა 3 ოქროს და 2 ვერცხლის მედალი მოიპოვეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ნიკა მამაგულაშვილი (14-15 წ.ძ, გიორგი ჯიქია (16-17 წ.ძ და ჰენრი ვეკუა (+18 წ.ძ. მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლები დათმეს და მეორე ადგილებს დასჯერდნენ შოთა გორელაშვილი (16-17ძ და დავით ტყებუჩავა (+18ძ. მსგავსი თამაშები გაისად საქართველოში იგეგმება.

◎ ინტერნეტიდან

## მსოფლიო ჩემპიონატი გადაიდო

**საშინელი მიწისძვრის გამო, იაპონიაში რომ მოხდა, გადაიდო მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში, რომელიც უნდა დაწყებულიყო 21 მარტს ტოკიოში, იოიოგის დარბაზში.**

სააგენტო „კიოდოს“ ცნობით, ფიგურული სრიალის საერთაშორისო ფედერაცია (ISVძ მაინც განიხილავდა დაგეგმილ ვადებში ჩემპიონატის გამართვას, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბევრმა ქვეყანამ ურჩია თავის მოქალაქეებს, უარი ეთქვათ იაპონიაში ჩასვლაზე, ეს შეჯიბრება მაინც გადაიდო. ჯერჯერობით უცნობია, შეჯიბრება გაიმართება თუ არა ახალ ვადებში, თუ საერთოდ გაუქმდება. დღემდე მსოფლიო ჩემპიონატი მხოლოდ ერთხელ გადაიდო — 1961 წელს, როდესაც ავიაკატასტროფაში დაიღუპნენ პრაღისაკენ მიმავალი აშშ ნაკრების წევრები.



ჩემპიონატის გადადების მთავარ მიზეზად მიიჩნევენ არა თავად მიწისძვრას, რომელმაც ტოკიო მაინცდამაინც დიდად ვერ დააზარალა, არამედ ატომური ელექტროსადგურის „ფუკუსიმა-1“ ირგვლივ შექმნილ სიტუაციას, იქ კი ორი ავარიული წყალბადის რეაქტორია.

## როცა მოწევა არ მიატოვა

**სწორედ თამბაქოს გამუდმებულმა მოწევამ მიიყვანა საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებამდე სახელგანთქმული არგენტინელი ფეხბურთის მწვრთნელი სესარ ლუის მენოტი. ახლა ბუენოს-აირესის საავადმყოფოში ის წევს ფილტვების ინფექციის დიაგნოზით. 72 წლის არგენტინელი სპეციალისტი ბოლო დროს მუშაობდა სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი სახელოვანი კლუბის „ინდეპენდიენტეს“ სპორტულ დირექტორად.**

მან სახელი გაითქვა იმით, რომ 1978 წელს არგენტინის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონობამდე მიიყვანა, ფინალში ჰოლანდიელთა დიდებული გუნდი რომ დაამარცხა. თუმცა 1982 წელს ესპანეთში არ-



გენტინელებმა შინ მოპოვებული წარმატება ველარ გაიმეორეს, მაგრამ 1986 წელს კარლოს ბილარდოს წინამძღოლობით ისევ გაჩემპიონდნენ.

მენოტი თავის დროზე წვრთნიდა ესპანურ „ბარსელონასა“ და „ატლეტიკოს“, იტალიურ „სამპდორიას“, არგენტინულ „ბოკა ხუნიორსსა“ და „რივერ პლეიტს“, აგრეთვე მექსიკის ნაკრებს.

როგორც ცნობილი გახდა, მისი გაზრდილი ფეხბურთელები მალე გამოჯანმრთელებას უსურვებენ მენოტის.

## ყველაზე სექსუალური მეგოლფე

**კოლუმბიაში დაბადებული ვალერია ოჩოა აღიარეს ყველაზე სექსუალურ მეგოლფედ. მეგოლფე ლამაზმანების პირველი ათეულის ბოლოშია ბლეირ ო' ნილი, რომელიც ჯერ კიდევ 2008 წელს მოხვდა ყველაზე სექსუალურთა „ნაკრებში“.**

პირველობის „დაფნის გვირგვინისთვის“ ბრძოლაში ვალერია ოჩოამ აჯობა ბევრ აღიარებულ ლამაზმანს — მათ შორის ნატალი გულბისს, ბელინდა კერის, კრისტალ ფეინზს, მარუსია ჰოაისს, ნიკი გარეტს, სარა კემპსა და სარა ჯეინ-კენიონსაც კი, ვისი სილამაზე უდავოა.

და მაინც „ტახტზე ავიდა“ ვალერია ოჩოა, რომელსაც სხვებივით დიდი ჯილდოები არ მოუპოვებია, მაგრამ მისი სილამაზე ეჭვს არ იწვევს.



◎ სამთო თხილამურობა

# ევროპის თოვლიან ტრასებზე

გერმანიასა და იტალიაში გრძელდება ახალგაზრდა მოთხილამურეთა საერთაშორისო ტურნირი. გუდაურელი ნინო წიკლაური პეკოლდი ზოლდოს გიგანტურ სლალომში მე-16 ადგილით დაკმაყოფილდა. კავალეზეში ჯერ მე-6, შემდეგ კი მე-4 ადგილები დაიკავა — ბრინჯაოს მედლამდე 0,19 წამი დააკლდა. ელენე გედევანიშვილის უმცროსი ძმა დიმიტრი გედევანიშვილი მხოლოდ 34-ე იყო, ჯაბა გელაშვილს კი გერმანიის ახალგაზრდულ ჩემპიონატში მე-8 ადგილი ერგო.

**ლაშა დიდია**



ხსოვნა

# აკადემიკოსი ვაჟა ოკუჯავა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ და საქართველოს შემოქმედებითმა ინტელიგენციამ დიდი დანაკლისი განიცადეს – გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ქართული ფიზიოლოგიური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელი აკადემიკოსი ვაჟა ოკუჯავა.

ვაჟა ოკუჯავა დაიბადა 1930 წლის 25 თებერვალს ქ. თბილისში. 1956 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. 1956-1959 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტი.

1960 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1966 წელს – სადოქტორო დისერტაცია. 1967 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

აკადემიკოსი ვაჟა ოკუჯავა 1961-დან 2000 წლამდე მუშაობდა კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტის ექსპერიმენტული განყოფილების გამგედ, 1973-1975 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორი მეცნიერების დარგში, 1980-1985 წლებში – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.



აკადემიკოსი ვაჟა ოკუჯავა 1967-1970 წლებში ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებებით იმყოფებოდა ნევროლოგიურ დაავადებათა და ინსულტის ეროვნულ ინსტიტუტში (ქ. ბეთესდა, მერილენდი, აშშ) და მაქს პლანკის სახელობის ტვინის კვლევის ინსტიტუტში (მაინის ფრანკფურტი, გერმანია).

აკადემიკოსი ვაჟა ოკუჯავა იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის უჯრედის ფიზიოლოგიის, პათოლოგიისა და ფარმაკოლოგიის ლაბორატორიის გამგე (1978-1990 წწ.), ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის ნეირობიოლოგიის ლაბორატორიის გამგე (1985წ.), სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ინსტიტუტის ნევროლოგიური ელექტროდიაგნოსტიკის განყოფილების გამგე (1993-1997 წწ.), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული ნევროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორი (2000-2006 წწ.), ხოლო 2006 წლიდან გარდაცვალებამდე იყო ამავე ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე.

1967 წელს ვაჟა ოკუჯავა აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1974 წელს – ნამდვილ წევრად.

1975-1980 წლებში აკადემიკოსი ვაჟა ოკუჯავა აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივნად.

აკადემიკოსი ვაჟა ოკუჯავა საყოველთაოდ აღიარებული მკვლევარი გახლდათ, რომელსაც იცნობდნენ და აფასებდნენ მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო წრეებში.

მისი მეცნიერული ინტერესების სფერო მოიცავდა ნევროლოგიურ დარღვევათა მოდელირებას და მათი ნეირობიოლოგიური მექანიზმების კვლევას, ეპილეფსიის ნეიროფიზიოლოგიური საფუძვლების შესწავლას; ნევროლოგიური ელექტროდიაგნოსტიკის (კლინიკური ელექტროენცეფალოგრაფიის, გამოწვეული პოტენციალების) მეთოდების დახვეწა-განვითარებას; ექსპერიმენტული და კლინიკური ნეიროფარმაკოლოგიის – ნეიროფარმაკოლოგიური სამკურნალწამლო შენაერთების მონიტორირებას და მათი ფარმაკოკინეტიკისა და მეტაბოლიზმის კვლევას; მეხსიერების შესაძლო ნეირობიოლოგიური მექანიზმების და მათი დარღვევების გამოკვლევას ნეირონულ დონეზე; ქცევათმეცნიერულ კვლევებს; ფსიქოპათოლოგიურ მოვლენათა მოდელირებას და ა.შ.

აკადემიკოს ვაჟა ოკუჯავასთან ერთობლივი სამუშაოების ჩასატარებლად, ასევე გამოცდილების გასაზიარებლად და კონტაქტების დასამყარებლად ხშირად ჩამოდიოდნენ მეცნიერები საზღვარგარეთის ქვეყნების წამყვანი სამეცნიერო ცენტრებიდან.

იგი რეგულარულად მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში როგორც მომხსენებელი, მიწვეული ლექტორი და სექციების თავმჯდომარე.

მის მიერ 1978 და 1982 წლებში თბილისში ორგანიზებული იყო საერთაშორისო სიმპოზიუმები თემაზე „ეპილეფსიის ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმები“.

1975 წელს ვაჟა ოკუჯავას თაოსნობით დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი „მაცნე (ბიომედიცინის სერია)“, რომლის უცვლელი მთავარი რედაქტორი იყო.

1997 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ვაჟა ოკუჯავა საერთაშორისო ჟურნალების „Epilepsy Research“ და „Electroencephalography and Clinical Neurophysiology“ (1978-1988 წწ.) კონსულტანტ-რედაქტორი, ჟურნალ „Neurophysiology-ს“ სარედაქციო საბჭოს წევრი (1975-1990 წ.წ.) და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალ „მოამბის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო.

აკადემიკოსი ვაჟა ოკუჯავა 1976 წლიდან ივანე ბერიტაშვილის სახელობის საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტი, საქართველოს ნეირომეცნიერებათა ასოციაციის გამგეობის წევრი, საქართველოს ნევროლოგთა საზოგადოებისა და ეპილეფსიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ლიგის, ეპილეფსიის საერთაშორისო ბიუროსა და ტვინის კვლევის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია (IBRO) – 1962 წლიდან.

აკადემიკოს ვაჟა ოკუჯავას ხელმძღვანელობით დაცულია არაერთი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

მას გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფია, რომელთაგან ერთ-ერთს მიენიჭა ივანე ბერიტაშვილის სახელობის პრემია.

მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები.

აკადემიკოსი ვაჟა ოკუჯავას სახელი დარჩება ჩვენი ქვეყნის მეცნიერების ისტორიაში, როგორც თვალსაჩინო მოღვაწისა, რომელმაც ნეირობიოლოგიის სფეროში მიღწეული წარმატებებით მედიცინის არაერთი აქტუალური პრობლემა გადაჭრა, ქართული ფიზიოლოგიური სკოლა ახალ სიმაღლეებზე აიყვანა და ქართულ მეცნიერებას მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი.

**დავით ბაქრაძე, გიგი უგულავა, დიმიტრი შაშკინი, თამაზ გამყრელიძე, ფრიდონ თოდუა, რუსუდან კერვალიშვილი, გიგი წერეთელი, გოკა გაბაშვილი, ოთარ თოიძე, ალექსანდრე კვიტაშვილი, გურამ თევზაძე, თეიმურაზ იოსელიანი, ოთარ ნათიშვილი, თენგიზ ონიანი, ნოდარ ყიფშიძე, მიხეილ ხანანაშვილი, ნინო ჯავახიშვილი, ლაური მანაგაძე, ქეთევან ნემსაძე, ზურაბ ქევანიშვილი, ზურაბ ქომეთიანი, ნიკოლოზ ყიფშიძე, რომან შაქარიშვილი**

კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ მიხეილ ოკუჯავას მამის, გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ქართული ფიზიოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, აკადემიკოს ვაჟა ოკუჯავას გარდაცვალების გამო.

კრიმინალი

## დააკავეს შპს „სან მარკოს“ დირექტორი

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს „სან მარკოს“ დირექტორი ნ. ბერიძე.

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგენილია, რომ 2005 წლიდან იტალიელმა ბიზნესმენმა ბენიამინო მარკეზანმა და მისმა ქართველმა პარტნიორმა პაატა ქანდაურაშვილმა დააფუძნეს შპს „სან მარკო“, რომელსაც საქართველოში შემოჰქონდა იტალიური წარმოების ავეჯი და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების პროდუქცია. ბ. მარკეზანმა საქართველოში 2 მილიონამდე ევროს ინვესტირება მოახდინა. შპს „სან მარკოს“ დირექტორმა ნ. ბერიძემ და მისმა პარტნიორებმა ნაცვლად იმისა, რომ პროდუქციის რელიზაციით მიღებული თანხა საქონლის მომწოდებლისათვის გადაერიცხათ, თვითონ მიითვისეს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 11 წლამდე.

ჯი-ეიჩ-ენი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

დედაქალაქი



## „სიმფონია“ „დეზერტირის“ ბაზრის წუმპეში

**„დეზერტირის“ ბაზრის ორსართულიანი შენობის ნგრევა რომ დაიწყეს, თბილისელებს გვეგონა, ყველაფერი ათიოდე დღეში მოთავრდებოდა – იმდენი გვიჩიჩინეს, შენობა ამორტიზებულია, ახალს ავაშენებთ და მერე ნახეთ ბაზარი როგორი უნდაო...**

მაგრამ, ისევე, როგორც თბილისის მერიის მრავალ სხვა წამოწყებას, როგორც წლების მანძილზე დავრწმუნდით, ამ „ღონისძიებასაც“ წინასწარი გონივრული გათვლის მისხალი არ მიყოლია. ჯერ იყო და შენობის ნგრევას იმდენი ხანი მოანდომეს, გვეგონა, აღარასოდეს დაშლიანო. ბოლოს, როგორც იქნა, ამას „თავი მოაბეს“, სამაგიეროდ მის ადგილას დედაქალაქის ცენტრში დღესდღეობით სანაგვედ და ვირთაგვების ბუნაგად ქცეული უზარმაზარი ორმო „გაგვიჩალიჩეს“.

ახლა „დეზერტირის“ ბაზარმა თავისი ყოფილი ადგილსამყოფელის მოპირდაპირე მხარეს დაიდო ბინა... „ბინა“ ვთქვი, მაგრამ იმ ადგილს უფრო „წუმპე“ მოუხდება. იქ რომ ამბავი ხდება, თავმომწონე დედაქალაქს კი არა, რომელიც დიდი ხანია ერთ უვადოდ გაჩერებულ „დეველოპერულ“ მოედნად რომ გადაიქცა, მსოფლიოს ყველაზე მიყრუებულ დასახლებასაც შერცხვებოდა. ოდესღაც აგრარულად ცნობილი ქვეყნის დედაქალაქის ამ უკაცრავად და ცენტრალურ ბაზარში ერთი რომ ქართული სოფლის პროდუქციიდან მწვანილი, მჟავე და უკვე ნახევრად მომჭკნარი კეხურა ვაშლი თუ იყიდება, დანარჩენი საქონელი კი უცხოურია, უმეტესწილად თურქული. მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ ამ „ბაზარში“ საგარეო ტანსაცმლით კაცი ვერ შევა – დაახლოებით სამსანტიმეტრიანი კუპრივით შავი წუმპე სამოსელს მაშინვე სანაგვეში გადასაგდებს გახდის...

ეს უგვანობა დედაქალაქის დასუფთავების სამსახურის მიერ თავის „მომსახურების“, წყლის გადასახადისა და, რაც ყველაზე მძიმე ასატანია, სასურსათო პროდუქციის გაძვირების თანხლებით ხდება. ამ თავის მომჭრელ „ორკესტრს“ კი, ჩვეული შეუვალობით, დედაქალაქის ხელისუფლება „დირიჟორობს“.

**ირმა ირემაშვილი**
**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**




ინფორმაცია

## მრავალშვილიანი ოჯახი სიდუხჭირის გამო ბავშვებს ქატოს აჭმევს

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანის თემში შემავალ სოფელ ქალქვაში რეხვიაშვილების მრავალშვილიანი ოჯახი შიმშილის ზღვარზეა. ოჯახის დიასახლისის შორენა ოთიაშვილის თქმით, ხშირად, როდესაც საკვები არა აქვს, არასრულწლოვან 5 ბავშვს ქატოს აჭმევს, რათა შიმშილით არ დაეხოცოს. საკვების უქონლობის გამო მას ერთი ბავშვი უკვე გარდაეცვალა, აცნობეს „მედიანიუსს“ რადიო „ჰერეთიდან“.

რეხვიაშვილების ოჯახში მდგომარეობა მას შემდეგ გართულდა, რაც სოციალური მომსახურების სააგენტომ ყოველთვიური დახმარება შეუწყვიტა. შორენა ოთიაშვილის თქმით, ყოველთვიური შემწეობა, 174 ლარი უკვე 7 თვეა არ მიუღია. გარდა ეკონომიკური სიდუხჭირისა, რეხვიაშვილების სახლიც სავალალო მდგომარეობაშია. იქ ისევე წვიმს, როგორც გარეთ.

ოჯახის მძიმე მდგომარეობაზე მათი მეზობლებიც მიუთითებენ. ერთ-ერთი მათგანის თქმით, ბავშვებს საჭმელს ხშირად მეზობლები აჭმევენ, ხშირად კი მშივრები არიან.

რეხვიაშვილების 5 შვილიდან სამი სკოლაში დადის, თუმცა გაკვეთილებს ხშირად აცდენენ, რადგან არც ტანსაცმელი აქვთ და არც სასკოლო სახელმძღვანელოები.

სოციალური მომსახურების სააგენტოში რადიო „ჰერეთს“ განუცხადეს, რომ ოჯახისთვის დახმარების შეწყვეტის მიზეზი პირადობის მოწმობის არქონა გახდა, რომელიც ერთ-ერთ ბავშვს არ ჰქონდა.

სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თამაზ კაკიაშვილის თქმით, ოჯახი ერთ კვირაში თავიდან შემოწმდება და თუ მათი მდგომარეობა ისეთივეა, როგორიც შვიდი თვის წინათ იყო, დახმარებას მიიღებენ. რაც შეეხება დახმარების შეწყვეტიდან დღემდე არსებულ პერიოდს, ოჯახი ამ თვეების დახმარებას ვერ მიიღებს.

ჯი-ეიჩ-ენი

## ჩვენი კარაბადინი

# სიზარმაცე — სტრესის ნიშანია

**ზამთრის ბოლოსთვის ბევრი ჩვენგანი გრძნობს უმიზეზო აპათიას და შრომისუნარიანობის დაქვეითებას. არ ღირს ლანძღო საკუთარი თავი სიზარმაცის გამო — რამდენადაც უცნაურად უნდა მოგვეჩვენოს, მუშაობის სურვილის უქონლობა ხომ შეიძლება იყოს იმის მაჩვენებელი, რომ თქვენ სტრესის მდგომარეობაში ხართ.**

თუ დილით გაღვიძების დროს გრძნობთ, რომ ისეთი მარტივი მოქმედებები, როგორებიცაა საუზმის მომზადება და შხაპის მიღება, თქვენში ზიზღს იწვევს, ფიქრი კი სამუშაოზე წასვლის შესახებ ცუდ ხასიათზე გაყენებთ, ეს შეიძლება იყოს იმის სიგნალი, რომ თქვენს ორგანიზმს რაღაც უჭირს. მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინათ თქვენ იყავით გრიპით ავად და ზედმეტი დატვირთვა სულაც არ გჭირდებათ. მაშინ სიზარმაცე ერთგვარი დაცვის რეაქცია იქნება თქვენი ორგანიზმისა, რომელიც ყველანაირად ცდილობს, დაიცვას თავი არასაჭირო გადაღლილობისაგან. ამ შემთხვევაში აზრი აქვს, მიიღოთ ვიტამინების კურსი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ B ჯგუფის ვიტამინებს, ხომ სწორედ ისინი არიან პასუხისმგებელი ნერვული სისტემის მუშაობაზე, კარგ მეხსიერებასა და მაღალ შრომისუნარიანობაზე.



მუდმივი სიზარმაცე შეიძლება აგრეთვე იყოს იმის ნიშანი, რომ იკისრეთ ისეთი ტვირთი, რომელიც თქვენს ძალებს აღემატება. როდესაც მესამე თვეა მუშაობ შეუსვენებლივ, შეუძლებელია არ გადაიღალო. არ არის გასაკვირი, რომ ზედმეტი გადატვირთვის გამო ორგანიზმი თანდათან სტრესს განიცდის, რომელიც აისახება თქვენს მუშაობაზეც და ჯანმრთელობაზეც. ნუ დაივიწყებთ, რომ ნორმალური სამუშაო დღე — 8 საათია და არა 24, როგორც ეს თქვენ ჩვეულებივად მიგაჩნიათ. ეცადეთ, ხშირად მოიწყოთ შესვენებები, ითხოვეთ თანაშემწე, აუხსენით შეფს, რომ ასეთ რეჟიმში მუშაობით თქვენ ძნელად შეასრულებთ თქვენს სამუშაოს საკმაოდ ხარისხიანად. არ არის საჭირო დაუმთავრებელი სამუშაოს სახლში წაღება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგეძლებათ იმუშაოთ კმაყოფილებით და არ გაწუხებდეთ აპათია.

ხდება ხოლმე, რომ სიზარმაცის შემოტევა ვრცელდება მხოლოდ ერთ კონკრეტულ საქმეზე მაშინ, როდესაც უფროსის ყველა სხვა დავალებას ასრულებთ სწრაფად და კმაყოფილებით. მაგალითად, არაფრით არ შეგიძლიათ აიძულოთ თავი დაიწყოთ წლიური ანგარიშის მომზადება თქვენი განყოფილების მუშაობის შესახებ, მაგრამ ამ დროს ყოველგვარი ზიზღის გარეშე გაქვთ ურთიერთობანი კლიენტებთან და მომწოდებლებთან. ყველაზე ხშირად ასეთი სიზარმაცის მიზეზი სტრესია — თქვენ გაშინებთ დავალების მოცულობა ან სირთულე, ამიტომ მთელი ძალებით ცდილობთ, გადაწიოთ იქით ამ სამუშაოში „თქვენი ჩართვა“.

იმისთვის, რომ კვლავ მთელი ენერგიით ჩავებათ მუშაობაში, აუცილებელია, ავამაღლოთ ორგანიზმის უნარი დაუპირისპირდეს სტრესს. ბევრი ცდილობს საკუთარი გუნებაგანწყობილების გაუმჯობესებას რეგულარული სპორტული მეცადინეობის ან ბალახების ნაყენის დახმარებით. მაგრამ ამით ჩვენ პრობლემას კიდევ უფრო მეტ სიღრმეში ვუშვებთ. სტრესი ხომ ერთგვარი ავადმყოფობაა და სანამ მის მკურნალობას დავიწყებდეთ, საჭიროა ვიცოდეთ, თუ კონკრეტულად რა დაგვეხმარება ამაში. ჩვენი ნერვული სისტემის მდგომარეობა, ჯანსაღი ძილი, შრომისუნარიანობა და კარგი განწყობილება დამოკიდებულია ორგანიზმში B ჯგუფის ვიტამინების დონით. როდესაც რაიმე რთულ ამოცანას ან სტრესულ სიტუაციას გადაეყრება, ტვინი აგზავნის „განგაშის სიგნალებს“. ამ სიგნალებზე საპასუხოდ ორგანიზმი იწყებს ჰორმონების გამომუშავებას, რომელთა ფუნქციაა — მოიყვანონ ყველა ორგანო და სისტემა „გაზრდილი მზადყოფნის“ მდგომარეობაში. ზოგიერთი ამ ჰორმონიდან, მაგალითად ადრენალინი, ასევე სტიმულს აძლევს იმუნიტეტს. თუ სტრესი ხანმოკლეა — ყველაფერი კარგადაა, ორგანიზმი უშრომლად ართმევს თავს კრიზისულ სიტუაციას. მაგრამ თუ სტრესი დიდხანს გრძელდება, საჭირო ჰორმონების მარაგი იფიტება, ორგანიზმს აღარ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს არახელსაყრელ ფაქტორებს, იწყება აპათია, დეპრესია, ხდება ძილის მოშლა, ქვეითდება იმუნიტეტი. საჭირო ჰორმონების გამოსამუშავებლადაა სწორედ B ჯგუფის ვიტამინები, მაგალითად, რიბოფლავინი. თუ ნერვიულობთ, ორგანიზმის მოთხოვნა რიბოფლავინზე იზრდება სამჯერ. ამას გარდა, სტრესი ხშირად იწვევს თავის ტვინის სისხლძარღვთა სპაზმებს, ამას კი მივყავართ თავის ტკივილებთან, ყურადღების მოდუნებასთან, მეხსიერების გაუარესებასთან. აქ უკვე არაფერი გამოგვივა ვიტამინ B-სამის გარეშე — ის სტიმულს აძლევს სისხლდენას, ხსნის სპაზმებს. სტრესის მდგომარეობაში ორგანიზმს სჭირდება ხუთჯერ მეტი ვიტამინი B-სამი.

B ჯგუფის ვიტამინების საუკეთესო წყაროდ ითვლება ლუდის საფუარები. საცხობი საფუარებისგან განსხვავებით, ლუდისა არ იწვევს მუცლის შებერილობას, პირიქით, მათ შესანიშნავად ითვისებს ორგანიზმი, კერძოდ კუჭ-ნაწლავთა ტრაქტი. ისინი აწესრიგებენ ნივთიერებათა ცვლას, ამარაგებენ ორგანიზმს B ჯგუფის ვიტამინებით, აუმჯობესებენ იმუნიტეტს, წინააღმდეგობას უწევენ სტრესს, სასარგებლო არიან გამოჯანმრთელების პერიოდში ინფექციური დაავადებების შემდეგ. ამ დროს, გავრცელებული აზრის საპირისპიროდ, ლუდის საფუარები სულაც არ იწვევენ გასუქებას. გერმანელ მეცნიერთა ამასწინანდელმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ლუდის საფუარებში არის ნივთიერება სახელწოდებით — ტოტალქსანი, რომელიც გვეხმარება, თავიდან ავიცილოთ ზედმეტი წონა.

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

- ნიურნბერგის პროცესზე გამოტანილი განაჩენის თანახმად, მაღალჩინოსანი ფაშისტები ჩამოახრჩვეს, ხოლო ჩამოხრჩობილთა გვამები დაჰაუს ყოფილი საკონცენტრაციო ბანაკის ღუმელებში დაწვეს. ცხედრები ისევე გაანადგურეს, როგორც მანამდე ფაშისტები გაზის კამერებში დახოცილ ებრაელთა გვამებს ანადგურებდნენ.
- ამერიკის ქალაქ ფონტეინინში (სამხრეთ დაკოტის შტატი) ძალზე უცნაური კანონი მოქმედებს: თუ ქუჩაში ცხენი გამოჩნდება, მას აუცილებლად უნდა ეცვას შარვალი.
- ბაბილონი იყო პირველი ქალაქი, რომლის მოსახლეობის რაოდენობამ მილიონს გადააჭარბა.
- ჩვენი წელთაღრიცხვა, რომელიც ქრისტეს დაბადებიდან იწყება, ბიზანტიაში ის 5508 წლის I-ლი სექტემბერი იყო; ძველ საბერძნეთში — ჩვენს წელთაღრიცხვამდე 886 წლის I-ლი ივლისი, პირველი ოლიმპიადის გამართვის დღე; ძველ რომში — ჩვენს წელთაღრიცხვამდე 753 წლის 21 აპრილი, რომის დაარსების დღე.
- შვედეთის სამეფო დინასტიას 1523-1654 წლებში მეფე გუსტავ I-ის (გუსტავ ვასას) სახელის მიხედვით, ვასა ერქვა.
- ექიმმა ევზალიუსმა, რომელიც XVI საუკუნეში მოღვაწეობდა, გაკვეთა გვამი და აღმოაჩინა, რომ გული ისევ მუშაობდა და ის ცოცხალი ადამიანის გაკვეთისათვის გაასამართლეს.
- 1867 წელს აშშ-ის ერთ-ერთმა კონგრესმენმა მაშინდელ სახელმწიფო მდივანს, სიუერდს დოყლაპია უწოდა ალასკის ყიდვის გარიგების გამო, რომლისთვისაც 25 წლის შემდეგ მეორე კონგრესმენმა ის ქებით მოიხსენია გამოჩენილი სიბრძნისათვის.

## დაიჯესტი



### ბურატინო-კლინტონის სინდრომი

**ბრიტანელმა პროფესორმა ალენ ჰირშმა შეამჩნია, რომ ბილ კლინტონსა და მონიკა ლევინსკის შორის სასამართლო გარჩევის დროს, როცა პრეზიდენტი ტყუოდა, მას ცხვირი ოდნავ უგრძელდებოდა.** კომპიუტერზე თავის დაკვირვებათა დასკვნის შემოწმების შედეგად პროფესორი დარწმუნდა თავისი ვარაუდის სისწორეში.

## ანეკდოტები

— ახლა კი თქვენ, როგორც წესიერი მამაკაცი, ჩემზე უნდა დაქორწინდეთ!..

— როგორც წესიერი მამაკაცი, მე უკვე დაქორწინებული ვარ!

* * *

— როგორ უნდა მივიყვანოთ ქალიშვილი სიგიჟემდე?

— უნდა მისცეთ უამრავი ფული და დაკეტოთ ყველა მაღაზია.

* * *



— ალო, გამარჯობათ, ვასკა შეიძლება?

— არ არის სახლში.

— ფუი, რა ტყუილად მოგსალმებივართ!

* * *

თუ ავად გახდებით, უნდა მიხვიდეთ ექიმთან, ჩააბაროთ ანალიზები, მიიღოთ რეცეპტები, ირბინოთ აფთიაქებში, იყიდოთ წამლები და დაიწყო სმა... მაგრამ უმჯობესია, დროისა და ნერვების დაზოგვის მიზნით, პირდაპირ ბოლოდან დაიწყოთ.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.